ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 4 იანვარი, 2021 №1 (8530) ფასი: 60 თეთრი

ნინოწმინდაში 32 წლის მამაკაცი მოკლეს. 3 პირი დაჭრილია

გვ.5



„ოცნებამ“ ხელიდან ისტორიული შანსი გაუშვა“

გვ.3

სოსო ცინცაძე: „გახარიას იმდენი თამასუქი დაჰკიდეს, რომ კარგი პრემიერია, კარგი მენეჯერია. ერთი, რაც არ უთქვამთ, კარგი პიანისტიაო“



გვ.3

„ოპოზიციას „ოცნებაზე“ გავლენის მოხდენა გაუჭირდება“

ნიკა ჩიტაძე: „საქართველოში მხოლოდ სათამაშო ბიზნესი ყვავის. მას ხელისუფლება ლობირებს“

„რუსეთი შეეცდება, აფხაზებს რამე დაათმობინოს და დანარჩენ საქართველოზე თავისი გავლენა გაზარდოს“

მამუკა გვაძაბია: „აფხაზეთში სომხური დიასპორა ანტიქართული განწყობებით გამოირჩევა“

გვ.4

პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე გარდაიცვალა

„ერთთვიანი ულმობელი ბრძოლა მარცხით დასრულდა“

გვ.2

ოკუპირებული აფხაზეთი ახალ წელს ბიუჯეტის გარეშე შეხვდა



გვ.4

ISSN 1987-9385

5 ოზურგეთის დედათა მონასტერში 8 კელია დაიწვა

6 თურქეთში 5 ტერორისტი გაანეიტრალეს

2 საქართველოსა და რუსეთს შორის სახელმწიფო საზღვრის საკითხი დღის წესრიგში ვერ დადგება

6 დიდ ბრიტანეთში ახალი რეგულაციები დაწესდება

პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე გარდაიცვალა

„ერთთვიანი ულმობელი ბრძოლა მარცხით დასრულდა“

უზენაესი საბჭოს დეპუტატი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე 60 წლის ასაკში კორონავირუსით გარდაიცვალა.

ამის შესახებ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი მწუხარებით აუწყებს სრულიად საქართველოს – მარცხით დასრულდა ერთთვიანი ულმობელი ბრძოლა, კოვიდინფექციამ 60 წლის ასაკში იმსხვერპლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ცნობილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე“, – დაწერა სერგო ვარდოსანიძემ.

ტარიელ ფუტკარაძის გარდაცვალებას კონსტანტინე გამსახურდიაც გამოეხმაურა, რომელმაც თბილისის მერს, კახა კალაძეს, მიმართა წინადადებით, ტარიელ ფუტკარაძე მახათის მთის პანთეონში დაიკრძალოს.

„მწუხარებით შევიტყვე ტარიელ ფუტკარაძის, საპატრიარქოს უნივერსიტეტის პროფესორის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, პოლიტიკოსის, უზენაესი საბჭოს წევრისა და დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერის გარდაცვალება და დავფიქრდი – ეს ადამიანი ხომ 60 წლის იყო, რატომ ასე ნაადრევად გარდაცვალება? მაგრამ საქართველოს გადაუარა ნამდვილმა ისტორიულმა გრიგალმა – და სიმართლის მსაჯულის განაჩენები – ცოტა ხევსურული ზეპირსიტყვიერების პროსოდიით რომ ვთქვათ – გარკვეული კატეგორიის ადამიანთა სრულიად არამარტივ ყოფაზე და მათ ჯანმრთელობაზე შესაძლოა მძიმედ ასახულიყო.

გარდა იმისა, რომ ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა ქართველოლოგიური კვლევების მიმართულებით, ბატონი ტარიელი ყოველ წელს აწყობდა მეცნიერულ სიმპოზიუმებს, რომლებზეც თემატიზებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობისთვის წარმოებული ბრძოლა, ეროვნული მოძრაობის ისტორია და მისი დამფუძნებელი მამების საინტერესო ბიოგრაფიული მომენტები, ასევე სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების სიღრმისეული მიზეზების კვლევა. იგი თვლიდა, რომ 1991-1992 წლების მიჯნაზე, ასევე შემდგომ განვითარებული მოვლენების შეფასება არ უნდა მოხდეს მხოლოდ დეკლარატიულ დონეზე, არამედ ის სასამართლოს წესით უნდა შეფასდეს. სხვათა შორის, მთავრობის სასახლეზე ორკვირიანი საარტილერიო და სარაკეტო იერიშებისას 1991-1992 წლების მიჯნაზე ტარიელ ფუტკარაძეს არ დაუტოვებია თავისი სამუშაო კაბინეტი.

ბატონი ტარიელი აკადემიური სფეროდან მოვიდა ეროვნულ მოძრაობაშიც და ხელისუფლებაშიც. ამ მოძრაობის ძირითადი კოჰორტაც აკადემიური სივრციდან იყო – საკმარისია გავიხსენოთ ის მეცნიერები და პროფესორები, რომლებიც პოლიტიკის გარეშეც შემდგარი ადამიანები იყვნენ და ასეთებად დარჩნენ თანამემამულეთა თვალში. მათ გადატრიალების შემდეგაც წარმატებულად გააგრძელეს თავიანთი საქმიანობა. მახსოვს მაშინდელი ოპონენტების იქედნური ქირქილიც, „ქუჩის ოპოზიციაო, „ქუჩის ურაპატრიოტების მოძრაობაო“. ტარიელ ფუტკარაძის გარდაცვალება მათ ხსოვნასაც წამოსწევს ჩვენს მეხსიერებაში: ვახტანგ ბოჭორიშვილი, თენგიზ კიკაჩეიშვილი, თემურ ქორიძე, ტარიელ გელანტია, ვიქტორ დომუხოვსკი, შალვა (შუქრი) აბზიანიძე, გია მაისაშვილი, ირაკლი ჩხეიძე, თემურ ჯანელიძე, აკაკი მათიაშვილი, ნათელა ქუთელია, მერაბ საყვარელიძე, გოგი ოჩიაური, მაია მაჭავარიანი, ავთანდილ პოპიაშვილი, დავით ტაბიძე, იური ბურკაძე, ედუარდ ჯანელიძე, ვიქტორ ფხალაძე. მომიტევეთ, თუ ვინმე გამომრჩა. მათ ასევე დაწერეს ეროვნული განახლებისთვის და თავისუფლებისთვის წარმოებული ბრძოლის ისტორია.

და ბოლოს მინდა თხოვნით მივმართო თბილისის მერიას – ბატონი ტარიელ ფუტკარაძის ნეშტი დაიკრძალოს მახათას მთის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში“, – დაწერა კონსტანტინე გამსახურდიამ ფეისბუქში.

მარგველაშვილი: „მოვდიოდით ტარიფების დაკლების ლოზუნგით, „ოცნებამ“ კი ყველაფერი გააძვირა“

პანდემიისა და ეკონომიკური კრიზისის პირობებში შუქისა და წყლის გაზრდილ საფასურს მთავრობის ოპონენტები „ოცნების“ კიდევ ერთ არასწორ ნაბიჯს უწოდებენ და ამბობენ, რომ ცვლილება ყველა პროდუქტის ფასზე აისახება.

საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი კი ამბობს, რომ დაპირებები ტარიფების დაწევასთან დაკავშირებით მმართველმა გუნდმა „შეასრულა 180 გრადუსით საპირისპიროდ“ და ფიქრობს, რომ ტარიფის ზრდა მოსახლეობისთვის კატასტროფული შედეგის მომტანი იქნება.

– მოსახლეობისთვის ეს არის დაფიქრების მნიშვნელოვანი საგანი, იმიტომ, რომ ჩვენ მოვდიოდით ლოზუნგით, რომ პირველი წელიწადი იქნებოდა კარგი, მეორე – უკეთესი, იქნება ტარიფების დაკლება ბენზინზე, გაზზე, ელექტროენერგიაზე ფასების დაკლება, სამწუხაროდ, პოლიტიკურმა პარტია „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი შეასრულა 180 გრადუსის საპირისპიროდ. ეს გაღატაკებული მოსახლეობისთვის იქნება კატასტროფული მდგომარეობა, მით უმეტეს პანდემიის ფონზე, – ამბობს გიორგი მარგველაშვილი.

შეგახსენებთ, დენი გაძვირდა – მოსახლეობისთვის 3.5 თეთრით, კომერციული ობიექტებისთვის 11-13 თეთრით.

ამ საკითხზე პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ მოქალაქეები ელექტროენერგიაზე ტარიფის გაძვირებას ვერ იგრძნობენ.

საქართველოსა და რუსეთს შორის სახელმწიფო საზღვრის საკითხი დღის წესრიგში ვერ დადგება



მოსკოვის მიერ სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმებთან დადებული ნებისმიერი შეთანხმება, მათ შორის „საზღვრის“ საკითხებზე იქნება უკანონო და ვერ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგს.

ამის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტში აცხადებენ.

მათივე განმარტებით, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხი დღის წესრიგში ვერ დადგება მანამ, სანამ რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაციას არ მოახდენს.

– საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხი დღის წესრიგში ვერ დადგება მანამ, სანამ რუსეთი არ მოახდენს საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დეოკუპაციას 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრული დაცვით და არ შეცვლის თავის უკანონო გადაწყვეტილებას ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.

ამასთან, მოსკოვის მიერ სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმებთან დადებული ნებისმიერი შეთანხმება, მათ შორის „საზღვრის“ საკითხებზე იქნება უკანონო და ვერ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგს. მსგავსი ნებისმიერი შეთანხმება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ შეფასდება, როგორც ევროპაში სახელმწიფოთა სუვერენული საზღვრების ძალისმიერი გზით ცვლილების მორიგ უკანონო მცდელობად რუსეთის მიერ.

შესაბამისად, მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, რომ პატივი სცეს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებს, შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები და გაიყვანოს საოკუპაციო ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან, – აცხადებენ უწყების პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტში.

მედიის ინფორმაციით, ვლადიმერ პუტინის სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოსთან და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის პასუხისმგებლობა დაევალა.

პატრიოტთა ალიანსის წევრი დავით ზილფიმიანი პარლამენტში შედის

„პატრიოტთა ალიანსის“ წევრი, ბიზნესმენი დავით ზილფიმიანი პარლამენტში შესვლას აპირებს და ამის შესახებ ღია წერილს ავრცელებს.

ზილფიმიანი წერს, რომ ქვეყნის მართვა ოპონენტების გარეშე წარმოუდგენელია და ის სწორედ საკანონმდებლო ორგანოდან გეგმავს „ქართული ოცნების“ ოპონირებას:

„ახალი გარემოებებიდან გამომდინარე, თუ ლეგიტიმურად დადგება ჩემი პარლამენტში შესვლის საკითხი, მაშინ, ქვეყნის ინტერესების, ჩემი პირადი და ჩვენი დასავლელი პარტნიორების აზრის გათვალისწინებით, მივიღებ გადაწყვეტილებას, შევიდე პარლამენტში და ჩემი ცხოვრების ამ ეტაპზე, დავკავდე პოლიტიკით, რადგან ღრმად მწამს, რომ დაუშვებელია ოპონირების გარეშე ქვეყნის მართვის პროცესის მიტოვება და პარლამენტიდან კვლავაც ვიბრძოლებ მედიათავისუფლების, ქვეყნის მაღალტექნოლოგიური განვითარებისა და სამართლიანობის აღდგენისთვის“, – ნათქვამია ზილფიმიანის წერილში.

ზილფიმიანი „პატრიოტების“ საარჩევნო სიის მე-8 ნომერია.

2012 წელს მან კომპანია „სტერეო პლუსი“ დააფუძნა, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა ტელე და რადიო-მაუწყებლობის ორგანიზება და წარმოება, სამაუწყებლო და საკომუნიკაციო ქსელების შექმნა და ექსპლუატაცია.

2014 წლიდან არის საქართველოს კოსმოსური ცენტრის ხელმძღვანელი.

ცესკო-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებული განკარგულებიდან ირკვევა, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ სიის წევრებს: ფრიდონ ინჯიას, გელა მიქაძესა და დავით ზილფიმიანს სიიდან ჩახსნის თაობაზე ცესკო-სთვის არ მიუმართავთ.

დავით ზილფიმიანის ღია წერილზე „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა ირმა ინაშვილმა ასეთი კომენტარი გააკეთა:

– მე არ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ბატონი ზილფიმიანი მაინცდამაინც მივიდეს და ხვალ მიიღოს მონაწილეობა პარლამენტის მუშაობაში, მით უმეტეს, იურიდიულადაც ჯერ ეს შეუძლებელია.

ბიზნესმენებმა, რომლებიც იყვნენ წარმოდგენილი ჩვენს სიაში, გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღონ. სამწუხაროა, მაგრამ მე არ მაქვს არანაირი ბერკეტი მათზე ზემოქმედების. არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლება აქტიურად მუშაობს ამ ნაწილთან.

ირმა ინაშვილმა ფრიდონ ინჯიაზეც ისაუბრა.

– ამ ბიზნესმენებს შორის არ არის პარტიის არც ერთი წევრი, ერთადერთი წევრი არის ბატონი ფრიდონ ინჯია, რომელსაც ვესაუბრეთ და ვიცით მისი პოზიცია. ჩვენი პოზიციაც ცნობილია მისთვის, თუ ბატონი ფრიდონი გადაწყვეტს, რომ გახდეს პარლამენტის წევრი, მას მოუწევს პარტიის დატოვება. თუ ბატონი ფრიდონი არ შევა პარლამენტში, ის დარჩება პარტიაში, – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

პარლამენტი დღეიდან, 4 იანვრიდან, ოპოზიციონერი დეპუტატების უფლებამოსილების შეწყვეტაზე მსჯელობას იწყებს.

საპროცედურო კომიტეტი პირველი პატრიოტთა ალიანსის განაცხადს და დეპუტატების – ირმა ინაშვილის, გიორგი ლომიასა და გოჩა თევდორაძის მანდატის შეწყვეტის საკითხს განიხილავს.

3 იანვრიდან 2-კვირიანი უქმეები ცხადდება

ვისზე არ გავრცელდება დასვენების დღეები

მთავრობის გადაწყვეტილებით, 2021 წლის 3 იანვრიდან 6 იანვრის ჩათვლით და 8 იანვრიდან 15 იანვრის ჩათვლით დღეები უქმე ანუ დასვენების დღეებად ცხადდება.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკოორდინაციო საბჭომ ქვეყანაში კორონავირუსის გამო შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მიიღო.

ჯანდაცვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით, განისაზღვრა საქმიანობები, რომელთაც „უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილება არ გავრცელდება.

ესენია:

1. პირველადი ჯანდაცვის და სტაციონარული სამედიცინო საქმიანობის მიმწოდებელი დაწესებულებები.
2. ის სამედიცინო საქმიანობის მიმწოდებლები, რომლებიც მომსახურებას ახორციელებენ კოვიდ-19 პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მართვის ღონისძიებების, დაფინანსების წყაროს მიუხედავად.
3. ფარმაცევტული საქმიანობა.
4. სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება, დისტრიბუცია, რეალიზაცია.
5. საავტომობილო, სარკინიგზო და საჰაერო სატვირთო გადაზიდვები. ასევე, სანავსადგურო და სააეროპორტო მომსახურება.
6. ელექტროენერგიის გენერაცია, ელექტროენერგიისა და გაზის გადაცემა, განაწილება, მიწოდება და ვაჭრობა. ასევე, ნავთობისა და გაზის მოპოვების ოპერაციები.
7. საფოსტო და საკურიერო მომსახურება.
8. პირების სავალდებულო კარანტინში განთავსებასთან, ტრანსპორტირებასთან, კვებასთან, დასუფთავებასთან, უსაფრთხოებასა და საკარანტინო პერიოდში სათანადო პირობების შექმნასთან დაკავშირებულ მომსახურებებზე პასუხისმგებელი საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები და ფიზიკური პირები.
9. სამაშველო საქმიანობა.
10. ჟანგბადის წარმოება-მიწოდებასთან დაკავშირებული საქმიანობები.
11. უწყვეტი ტექნოლოგიური ციკლის მქონე საწარმოები (საწარმოები, სადაც ტექნოლოგიური ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია საქმიანობის შეჩერება).
12. დაკრძალვასთან დაკავშირებული საქმიანობები.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოპოზიციას „ოცნებაზე“ გავლენის მოხდენა გაუჭირდება“

ნიკა ჩიტაძე: „საქართველოში მხოლოდ სათამაშო ბიზნესი ყვავის. მას ხელისუფლება ლობირებს“

იაგო ნაცვლიშვილი

რას გამოყოფს 2020 წლიდან და რას ელოდება 2021 წლისგან? რა გამოწვევები რჩება და რა მოლოდინი აქვს ოპოზიციისგან? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

– რით დაგამახსოვრათ თავი 2020-მა წელმა. რას გამოყოფდით როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვალსაზრისით?

– პირველ რიგში, ეს არის პანდემიის შედეგად გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი. სხვადასხვა მონაცემით, მათ შორის მსოფლიო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკა 5-7%-ით გაუარესდება. ზუსტი მონაცემი ცოტა ხანში გახდება ცნობილი.

მართალია, რომ მხოლოდ საქართველო არ არის გამონაკლისი და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებსაც შეეხო. ვიცით, რა გამოწვევების წინაშე დადგა ეკონომიკურად უძლიერესი სახელმწიფო აშშ, მაგრამ საქართველოს პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლებამ 8 წლის განმავლობაში ვერ გადაჭრა სოციალურ-ეკონომიკური ბევრი პრობლემა. 2019 წლის მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკის მშპ-ის 12% ტურიზმზე მოდიოდა, ხოლო 12% – საგარეო გადმორიცხვებზე. ეს ხდება იმის გამო, რომ საქართველოში არ არის განვითარებული მოწინავე დარგები. ხელისუფლებამ არ შეასრულა თავისი დაპირება 100 ქარხნის ამუშავებასთან დაკავშირებით. 100 ქარხანა რომ აშენებულიყო, პანდემიის პრობლემა შედარებით უმტკივნეულოდ ჩაივლიდა და წარმოება არ შეჩერდებოდა.

დღეს მოწინავე დარგი არის ტურიზმი და 2019 წელს ტურიზმიდან საქართველომ მიიღო 3 მილიარდ 200 მილიონი. დღეს საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 95%-ით არის შემცირებული და ქვეყანა მოუმზადებელი აღმოჩნდა, რომ ეკონომიკის სხვა დარგი ყოფილიყო განვითარებული.

– სხვა ქვეყნებიც არიან ტურიზმზე მიბმული, იმავე იტალიაში, საფრანგეთსა თუ საბერძნეთში, მაგრამ, იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, რა რესურსი აქვს სახელმწიფოს და რა რესურსი ადამიანებს რეზერვისა თუ დანაზოგის სახით. ჩვენთან როდესაც უკიდურეს სიღარიბეში უწევთ ცხოვრება, მათთვის ეკონომიკური ზეწოლა კიდევ უფრო მძიმე არ არის?

– რა თქმა უნდა, იტალია ტურისტებისთვის მიმზიდველი ქვეყანაა. 2020 წლამდე ტურიზმის თვალსაზრისით პირველ ადგილზე საფრანგეთი იყო. საფრანგეთს ყოველწლიურად დაახლოებით 70 მილიონი ტურისტი სტუმრობდა. მეორე ადგილზე ესპანეთი იყო, რომლებსაც 50-60 მილიონამდე ტურისტი სტუმრობდა. მაგრამ იმავე საფრანგეთში ტურიზმზე მშპ-ს 2%-ზე მეტი არ მოდის. უმძლავრესი სამრეწველო საწარმოები ფუნქციონირებს, საავტომობილო კომპანიები – იგივე „რენო“, საბანკო სექტორი „სოსიეტე ჟენერალი“, მეტალურგიული ქარხნები და ა.შ. სხვათა შორის, სინგაპური ერთ-ერთი მიმზიდველი ქვეყანაა ტურისტებისთვის. 5-მილიონიან სინგაპურს ყოველწლიურად 20 მილიონამდე ადამიანი სტუმრობს, მაგრამ ის არის ახალი ინდუსტრიული ქვეყანა, რომელსაც „აზიურ ვეფხვს“ ეძახიან. მისი ეკონომიკა ტურიზმზე არ არის დამოკიდებული.

ამით იმის თქმა მინდა, რომ ქვეყნის ეკონომიკა მოუმზადებელი შეხვდა პანდემიას და, რომ არა ის საერთაშორისო დახმარება, რომელიც საქართველოს გაეწია, კიდევ უფრო რთული მდგომარეობა იქნებოდა, მაგრამ, ამასთანავე, გაიზარდა საგარეო ვალი. საგარეო ვალი 30 მილიარდ ლარს აჭარბებს. აქედან დაახლოებით 6 მილიარდი შიდა ვალია. ეს არის იმის შედეგი, რომ ვერც დაპირებული 100 ქარხანა ამუშავდა, ვერც სოფლის მეურნეობა განვითარდა – იცით, რომ თავის დროზე დიდი თანხები ჩაიდო. მიწების 40% ისევ დაუმუშავებელია და 900.000 ჰექტარი მიწა დაურეგისტრირებელია. არავითარი პროგრესი. მთავარი ბიზნესი, რომელიც ქვეყანაში განვითარდა, სათამაშო ბიზნესია. ამ ბიზნესის ბრუნვა შარშან 12 მილიარდს აჭარბებდა, საიდანაც ბიუჯეტში მხოლოდ და მხოლოდ 60 მილიონი ლარი შევიდა. ჩანს, რომ ვიღაცა ხელს აფარებს და შეღავათიანი საგადასახადო სისტემაა დაწესებული. ერის დეგრადაცია ხდება – სათამაშო ბიზნესი ვითარდება და ვერ ვითარდება მრეწველობა თუ სოფლის მეურნეობა.

– სათამაშო ბიზნესი ახსენეთ და მის მფარველებზე გააკეთეთ მინიშნება. უცებ გამახსენდა ისკო დასენი, რომელიც „ოცნების“ დეპუტატი იყო და ის ფლობს სათამაშო ბიზნესის საკმაო რაოდენობას. აქედან გამომდინარე, არ ჩნდება ეჭვი, რომ ხელისუფლება ლობირებს და ამიტომ ხომ არ ხვდება მცირე რაოდენობით შეტანილი ფული ბიუჯეტში?

– რა თქმა უნდა. რა მონაცემებიც ვახსენე, ეს არის შარშანდელი მონაცემები და, სხვათა შორის, წელსაც გრძელდებოდა მისი მაღალი შემოსავლები. მართალია, კაზინოები არ ფუნქციონირებდა, მაგრამ აქვთ ონლაინსისტემა. ერთადერთი ბიზნესსექტორი, რომელიც ყვავის, სათამაშო ბიზნესია.

– მთლიანობაში რომ შევხედოთ სურათს, სხვა ქვეყნებში როგორ ხდება ეს? ყველგან არის განვითარებული სათამაშო ბიზნესი, მაგრამ იქ მოწინავე პოზიციებზეა და სხვა სექტორებს აღემატება?

– არა, არ არის. მაგალითად, აშშ-ში მხოლოდ ნევადის შტატშია დაშვებული. შტატების უმეტესობაში სათამაშო ბიზნესი აკრძალულია. ნევადის შტატში უდაბნო ადგილია, იქ არის დაშვებული და ამიტომ განვითარდა ლას ვეგასი.

– იმას უსვამთ ხაზს, რომ თანმიმდევრული პოლიტიკა ამ შემთხვევაშიც არ გვაქვს?

– რა თქმა უნდა. კი ბატონო, მონაკოში ძალიან განვითარებულია სათამაშო ბიზნესი, მაგრამ შემოსავლის ძირითადი წყარო მონაკოსთვის არ არის ის. წარმოუდგენელია, როდესაც ქვეყანაში მოწინავე დარგი სათამაშო ბიზნესი ან თუნდაც უცხოეთიდან გადმორიცხვებია.

კი ბატონო, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მსოფლიო 2020 წელს დაკარგავდა 5 ტრილიონ დოლარს, მაგრამ განვითარებულ ქვეყნებში მუშაობს მრეწველობა და მომსახურების სექტორი, შესაბამისად, მალე დააღწევენ ის ქვეყნები კრიზისს თავს.

– საქსტატის ხელმძღვანელის განცხადებით, ჩვენ უკვე გვაქვს 7%-იანი ვარდნა ეკონომიკაში.

– მსოფლიო ბანკიც 5-დან 7%-მდე ვარაუდობს, ცოტა ხანში გახდება ზუსტი მონაცემი ცნობილი. სავარაუდოდ, უფრო 7% იქნება.

– წმინდა პოლიტიკურ საკითხებს რაც შეეხება, 2020 წელს რას გამოყოფდით და რა მოლოდინი გაქვთ 2021 წლისგან?

– პირველ რიგში, ეს არის არჩევნები. არსებობდა „ოცნებაზე“ ზეწოლა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. ჯერ კიდევ წლის დასაწყისში გახდა იძულებული მმართველი პარტია, რომ დათმობაზე წასულიყო და 8 მარტს გაფორმდა შეთანხმება. მართალია, არჩევნები შერეული სისტემით ჩატარდა, მაგრამ 120/30-ზე, ნაცვლად იქამდე არსებული 77/73-ისა. ამის მიუხედავად, ვნახეთ, 31 ოქტომბრის არჩევნები როგორც ჩატარდა და ამაზე ამერიკის ელჩმაც ისაუბრა. დარღვევები წარმოადგინეს „ენ-დი-აი“-მ და „აი-არ-აი“-მ. შედარებით რბილი პოზიცია ჰქონდა ეუთოოდირს. ესეც კითხვებს ბადებს, ასევე ის, რომ ევროპის საბჭოს სულ 9 დამკვირვებელი ჰყავდა, ხოლო ეუთოს – 25. საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან თითქოს ნაკლები ყურადღება დაეთმო არჩევნებს.

– პრიორიტეტული პოზიცია ხომ არ დაკარგა საქართველომ და ხომ არ გამოჩნდა, რომ ევროპისთვის აღარ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორიც აქამდე იყო?

– რაღაცნაირად ეგუება საერთაშორისო საზოგადოება რეალობას. თითქოს ხედავენ, რომ საქართველოში დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით პერსპექტივები არ არის და ცდილობენ, „ოცნებასთან“ არ გაიფუჭონ საქმე, რადგან ის ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით ყველაფერზეა წამსვლელი და, შესაძლოა, პრორუსული ორიენტაცია დაიკავოს. შესაძლოა, დეკლარაციის დონეზე – არა, მაგრამ საქმე გააკეთოს და აკეთებს კიდეც. იმავე ანაკლიის პორტის მაგალითმა გამოაჩინა ეს.

– ევროპა ამ თვალსაზრისით სიფრთხილეს იჩენს?

– ერთხელ, 2019 წლის შემოდგომაზე იყო არაფორმალური შეხვედრა ერთ-ერთ პარლამენტართან. მარტო მე არ ვიყავი, სხვებიც იყვნენ და ამაზე მქონდა საუბარი. მე ვუთხარი, ხშირად თქვენ არ აფიქსირებთ მკაცრ პოზიციას და ამით სარგებლობს „ქართული ოცნება“-მეთქი. ამაზე ადრეც ვაფრთხილებდი უცხოელ დიპლომატებს, რომ „ოცნებას“ არ შეუსრულებია თავისი დაპირება პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

– რა პასუხი ჰქონდათ?

– ზუსტად ეს პასუხი ჰქონდათ, მართალს ბრძანებთ, მაგრამ ჩვენ ყველანაირად ვცდილობდით, კარგი ურთიერთობა გვქონოდა თქვენს ხელისუფლებასთან, რადგან კრიტიკის შემთხვევაში შესაძლებელია, რუსეთისკენ აეღოთ ორიენტაციაო.

– რა გამოწვევები რჩება 2021 წელს?

– მთავარია ის, რომ ერთპარტიული პარლამენტი ვერ იფუნქციონირებს სრულყოფილად და ვერ შეასრულებს ეფექტურად საკანონმდებლო საქმიანობას. შესაძლოა, ოპოზიციიდან რამდენიმე შევიდეს, მაგრამ, საერთო ჯამში, ეს არ შემატებს ლეგიტიმურობას პარლამენტს.

– ოპოზიციისგან რას ელოდებით?

– გაზაფხულზე იქნება გამოსვლები, მაგრამ ოპოზიციას არ აქვს საკმარისი რესურსი, რომ ზემოქმედება მოახდინოს ხელისუფლებაზე. თავისი ნიშა ექნება, მაგრამ „ოცნებაზე“ გავლენის მოხდენა გაუჭირდება.

– თუ დიდ აქციებს გამართავს, ვერ მოახერხებს?

– როდესაც ვარდების რევოლუცია მოხდა, ხალხი მასობრივად გამოვიდა გარეთ და შევარდნაძეს მომხრე აღარ დარჩა, ჯარი და პოლიცია განუდგა. დღეს განსხვავებული ვითარებაა. 40%-მა „ოცნებას“ ხმა მისცა. რატომ და როგორ, ეს სხვა საკითხია, მაგრამ მისცა ხმა. რაღაც რესურსი „ოცნებას“ გააჩნია, ფულიც არის, მაგრამ მარტო ფული არაა. „ოცნება“ ახერხებს ამომრჩევლის რაღაც რაოდენობის შენარჩუნებას. ნაკლები კრიტიკა გაისმის საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდანაც. ორი მიმართულებით იმუშავებს ოპოზიცია – საერთაშორისო თანამეგობრობასთან და საპროტესტო აქციების თვალსაზრისით.

მაგრამ ამ ეტაპზე ვერ ვხედავ შესაძლებლობას, რომ ხელისუფლება შეიცვალოს და დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები. მე ადრეც გითხარით, რომ არ ველოდები. ალბათ, ყველა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„ოცნებამ“ ხელიდან ისტორიული შანსი გაუშვა“

სოსო ცინცაძე: „გახარიას იმდენი თამასუქი დაჰკიდეს, რომ კარგი პრემიერია, კარგი მენეჯერია. ერთი, რაც არ უთქვამთ, კარგი პიანისტიაო“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, გასული წელი პოლიტიკურადაც რთული იყო. „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლება შეინარჩუნა, თუმცა, ალბათ, არ ელოდა ასეთ პოლიტიკურ რეალობას, როგორიც დღეს პარლამენტშია. როგორ შეიძლება, განვითარდეს მოვლენები?

– მართალია, „ოცნებამ“ ხელისუფლება შეინარჩუნა, თუმცა წინ ძალიან რთული პოლიტიკური გადაწყვეტილებები ელოდებათ ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც. ეს, ალბათ, იქნება რთული გადაწყვეტილებების წელი.

„ოცნებამ“ ისტორიული შანსი გაუშვა ხელიდან. მას შეეძლო წინამორბედი ხელისუფლების ტრადიციის გამყარება – ვგულისხმობ მშვიდობიანად ძალაუფლების გადაცემას. ცივილიზებულად ძალაუფლების გადაცემა იქნებოდა მისი დიდი გამარჯვება, მე ვიტყოდი, ხელისუფლების შენარჩუნებაზე უფრო დიდი გამარჯვება, მაგრამ ამის დანახვასა და გაცნობიერებას დიდი პოლიტიკოსები სჭირდება. სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ქვეყანას პოლიტიკოსები არ მართავენ. რაც დრო გადის, მით ცოტა პოლიტიკოსია პოლიტიკაში.

როდესაც ყოფილი ხელისუფლება ოპოზიციაში გადადის და დამარცხებას აღიარებს, მას ხელისუფლებაში მობრუნების შანსი ერთიორად ეზრდება, მაგრამ, როდესაც ძალაუფლებას ებღაუჭები და რეპრესიებს იწყებ, ეს შურისძიების წყარო ხდება, რასაც ვერ ავცდით 30 წელია.

რთული სათქმელია, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, მაგრამ ყველაფერი, ალბათ, შუამავალ ელჩებზე იქნება დამოკიდებული, უფრო ზუსტად კი იმაზე, რამდენად მოიცლის ამერიკა ჩვენთვის. ახლა ამერიკაშიც არჩევნების პროცესი გრძელდება, სენატორების არჩევნებია. ვნახოთ. ამ წუთში ქართული პოლიტიკა გაჩერებულია, უძრაობის ხანაა. ხელისუფლება პირდაპირ გვეუბნება, ჩვენ არაფრის შეცვლა არ გვინდა, ყველაფერი კარგად არისო. „ოცნების“ ლიდერები ამბობენ, რატომ უნდა შევცვალოთ მინისტრები, ყველა მინისტრი კარგად მუშაობსო. ყველაზე ცუდი ის არის, როდესაც ხელისუფლების სათავეში რომელიმე მინისტრის ცვლილება აღიქმება, როგორც ტრაგედია, რადგან იქ თვლიან, რომ არაფერია შესაცვლელი, ყველაფერი კარგად არის, ამას, უბრალოდ, ხალხი ვერ ხედავს. არადა, ცვლილებები სრულიად ჩვეულებრივი ამბავია, არაფერი განსაკუთრებული ამაში არ არის. პირიქით, უნდა ხდებოდეს.

– არ უნდა ველოდოთ სამთავრობო ცვლილებებს?

– განჭვრეტ მომავალში არ უნდა ველოდოთ. უფრო რომ დავაკონკრეტო, არ უნდა ველოდოთ გახარიას ცვლილებას ახლო მომავალში. გახარიას იმდენი თამასუქი დაჰკიდეს, რომ კარგი პრემიერია, კარგი მენეჯერია, რატომ უნდა შევცვალოთ – ასე უცებ ვეღარ შეცვლიან. ერთი, რაც არ უთქვამთ, კარგი პიანისტია, როგორც ქალბატონი ბოლქვაძეო. სხვა ყველაფერი თქვეს. ამ თამასუქების ტყვეობაში არიან ჯერ.

ისე, სიმართლე გითხრათ, რომ ვუყურებ მთელ ამ გუნდს, ერთადერთი, გახარიას თუ მოუსმენ, ჭკვიანი მაინც არის. დანარჩენები სულელების შთაბეჭდილებას ტოვებენ. აბა, პარლამენტში ხალხის რჩეული რომ იტყვის, ონლაინ სწავლების ჰაბად ვაქციოთ საქართველო, ე.ი. მას წარმოდგენა არ აქვს, რა ხდება ქვეყანაში, რა უჭირთ და რა ულხინთ ამ ქვეყნის მოქალაქეებს. როგორ შეიძლება, მასზე თქვა, პოლიტიკოსია ან ცუდი, ან კარგი, ვინაიდან ხელისუფლებაში პოლიტიკოსები არ არიან და არც შეიძლება იყვნენ, რადგან ივანიშვილი თავად არ არის პოლიტიკოსი, პოლიტიკა ჭირვით ეზიზღება. ის გარემოების გამოა პოლიტიკოსი, ამიტომ მსგავსი განცხადებები, რომლებსაც ვისმენთ პარლამენტიდან, სულაც არ მიკვირს.

– ოპოზიცია ბრძოლას დათმობს?

– ოპოზიცია ერთობას, ასე თუ ისე, ჯერ ინარჩუნებს. მისი ძალა დღეს ამ ერთობაშია. ერთიანი ფრონტი არის ოპოზიციის პოლიტიკა დღეს. ის ამით იგებს, უფრო ზუსტად, ამით უგებს ბრძოლას ივანიშვილს. ერთი-ორი გამონაკლისი, რომლებსაც ჯერ სიები არ გაუნულებიათ და შეიძლება, პარლამენტში აღმოჩნდნენ, პოლიტიკურ ამინდს ვერ შეცვლის. ასეთი გამონაკლისი, ცხადია, იქნება და ამაში გასაკვირი არაფერია, თუმცა, რასაკვირველია, ასეთი რყევები ამ ერთობას ასუსტებს.

– ეს ყველაფერი შეიძლება, მართლაც ვადამდელ არჩევნებამდე მივიდეს?

– თუ ასე გაგრძელდა, სხვა გზა, უბრალოდ, არ იქნება. მართლა ერთპარტიული პარლამენტი ხომ ვერ იქნება ოთხი წლის განმავლობაში! გაზაფხულზე როგორი პროცესები განვითარდება, ამასაც ექნება მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, ასევე მნიშვნელოვანი იქნება ხალხის პოზიცია.

„რუსეთი შეეცდება, აფხაზებს რამე დაათმობინოს და დანარჩენ საქართველოზე თავისი გავლენა გაზარდოს“

მამუკა გვაძაბია: „აფხაზეთში სომხური დიასპორა ანტიქართული განწყობებით გამოირჩევა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ბოლო პერიოდია, აფხაზეთიდან გააქტიურდა მესიჯები, რომ საუბარი უნდა დავიწყოთ, ურთიერთობა უნდა აღდგეს. სერგეი შამბა სწორედ მსგავს საკითხებზე აკეთებს აქცენტს. რას იტყვით ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

– საკმაოდ სენსიტიური თემაა. ოკუპირებული ტერიტორიების თემა ყველასთვის მტკივნეული საკითხია და არანაირი სასიკეთო პირი არ უჩანს ამ პრობლემის მოგვარებას. კავკასია ყოველთვის დიდი ინტერესის სფერო იყო და ახლაც არ არის გამონაკლისი ის, რაც კავკასიაში ხდება.

რამდენიმე მოთამაშე სახელმწიფოა. სამწუხაროდ, რჩება რუსეთი, შემოვიდა ამერიკის შეერთებული შტატები, ნატო, ევროკავშირი და ამ კონფიგურაციაში დღემდე ხდებოდა ძალების მოსინჯვა და დემონსტრირება, ასე ვთქვათ, გადაქაჩვის პოლიტიკა. ეს პროცესი დღესაც გრძელდება და რაც მოხდა მთიან ყარაბაღში, ყველა ვხვდებით და ყველამ კარგად დავინახეთ, თუ როგორ ელვისებურად განვითარდა მოვლენები.

– მოულოდნელი იყო ეს ყველაფერი?

– სანამ რუსეთი ახლოს გვყავს, მოულოდნელი არაფერი არ უნდა იყოს, მაგრამ ამ საკითხის ასე გადაწყვეტას არავინ მოელოდა. რუსეთი შეეცადა, ბოლო წუთამდე არ ჩარეულიყო ამ კონფლიქტში და შემდეგ როგორც ჩაერია, ყველამ კარგად დავინახეთ. ამ პროცესიდან გამომდინარე, შეუძლებელია, ეს ტალღა მთელ კავკასიას არ მოედოს.

– ეს პროცესი, შესაძლოა, გადამდები აღმოჩნდეს?

– რაღაცნაირად გავლენას მოახდენს. პირდაპირ პარალელის გავლება ყარაბაღსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან არ შეიძლება.

– დღეს აქტიურობა და ურთიერთობის დაწყების სიგნალები აფხაზეთიდან უფრო მოდის. რატომ?

– ე.წ. სამხრეთ ოსეთი რუსეთისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. იქ რუსული ბაზების არსებობა სჭირდება საქართველოზე გავლენის მოსახდენად, ხოლო აფხაზეთი არის სამხედრო ბაზა, რომელიც სჭირდება არა მხოლოდ საქართველოზე, არამედ მთელი შავი ზღვის აუზზე გავლენის მოსახდენად. ამიტომ უფრო მნიშვნელოვანია აფხაზეთი და მისით მეტად მანიპულირებს.

საგარეო დოქტრინა რუსეთის პირდაპირი მითითებით მიიღო აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ. ბევრი კრიტიკოსიც გამოუჩნდა ამ დოქტრინას. უკვე ძალიან ბევრი აფხაზისგან მესმის, რა კარგი დრო იყო, როდესაც ქართველები და ჩვენ აქ, აფხაზეთში, ერთად ვცხოვრობდითო.

დღეს აფხაზეთში ძალიან რადიკალური და ანტიქართველური განწყობებით გამოირჩევა სომხური დიასპორა. მე ვიცი, რაც არის რუსეთის გეგმა და ეს არ არის ყურით მოთრეული ჭორი. ეს ძალიან სერიოზულ ინფორმაციებს ეყრდნობა.

– რას ცდილობს რუსეთი?

– რუსეთმა კარგად დაინახა, რომ ვერც მძიმე ძალით, ვერც ხიშტითა და ვერც ვერანაირი იარაღით ვერ შეძლო საქართველოში თავისი გავლენის სფეროების აღდგენა. საქართველოში პრორუსული განწყობილებები ძალიან დაბალია და ახლა სხვა კუთხით უდგებიან ამ საკითხს.

აფხაზები უნდა გამოიყენოს იმ თვალსაზრისთ, რომ მათ დაათმობინოს ისეთი რაღაც, რაც დანარჩენ საქართველოში გავლენის სფეროებს გაუფართოებს რუსეთს.

– რა იქნება ეს რაღაც?

– სწორედ ამ კუთხით ჰქონდათ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან კონსულტაციები და მოლაპარაკებები. ამ კონსულტაციებში ირიბად ჩართულია ქართული მხარე.

– შამბას ინტერვიუდან წამოსული მესიჯებიც ამას ემსახურება, როდესაც ის დიალოგსა და ურთიერთობების აღდგენაზე საუბრობს?

– კი, ასეა. თუ გადავხედავთ კავკასიაში განვითარებულ პროცესებს, მივხვდებით, რომ ეს ერთი მოვლენის ჯაჭვია. ყარაბაღის თემაზე ამახვილებს ყურადღებას. მათი პოზიციების შერბილებაზე საუბრობს, რუსეთმა კი უნდა „გამოსტყუოს“ სეპარატისტულ რეჟიმს ისეთი რამ, რაც მის გავლენებს გაზრდის დანარჩენ საქართველოზე. ამ პროცესში კი მონაწილეობას მიიღებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლება. მაქსიმალურად შეეცდებიან პროდასავლური განწყობილების შესუსტებასა და პრორუსულის გაძლიერებას.

ეს ერთპარტიული პარლამენტიც რუსეთს აწყობს მხოლოდ და მხოლოდ. ჯაჭვი იკვრება და ყველაფერი ერთ დიდ მთლიანობად უნდა აღვიქვათ. პირდაპირ პარალელის გავლება ყარაბაღთან არ შეიძლება. იქ სულ სხვა სიტუაციაა და სხვაა აფხაზეთის საკითხი, თუმცა პრეცედენტი უკვე არსებობს.

საქართველო რომ არ იქცეს რუსეთის გუბერნიად, სასწრაფოდ ამერიკული სამხედრო ბაზები უნდა განლაგდეს საქართველოს ტერიტორიაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი თავის საწადელს მიაღწევს.

ოკუპირებული აფხაზეთი ახალ წელს ბიუჯეტის გარეშე შეხვდა

ბჟანიას კვალდაკვალ დეპუტატებმა ანქვაბის მთავრობაც მძაფრად გააკრიტიკეს

მარიამ მჭედლიშვილი

აფხაზეთის პარლამენტმა არ დაამტკიცა 2021 წლის ბიუჯეტი. რეგიონი ახალ წელს უბიუჯეტოდ შეხვდა. რუსეთზე დამოკიდებული პოლიტიკურად არასტაბილური ოკუპირებული რეგიონისათვის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობა, მით უმეტეს, პანდემიურ და ეკონომიკისთვის მძიმე დროს, განსაკუთრებული მოვლენა არ უნდა იყოს, რომ არა ახალი პოლიტიკური კონტექსტი.

ბიუჯეტის პროექტის დაწუნებას აფხაზურ პარლამენტში ახლდა პირადად პრემიერის, ალექსანდრე ანქვაბისა და ეკონომიკური გუნდის კრიტიკა.

მანამდე რამდენიმე დღით ადრე კანონმდებლებმა მოწვეულ სტუმრებთან ერთად მიწასთან გაასწორეს დე ფაქტო პრეზიდენტის ასლან ბჟანიას მიერ მომზადებული „საგარეო პოლიტიკის კონცეფცია“, უფრო ზუსტად, დოკუმენტის ის პუნქტი, რომელიც თბილისთან მრავალდონიან პირდაპირ ურთიერთობას გულისხმობს. ბჟანიას ოპონენტებმა ქართველებთან სალაპარაკოდ ახალი ფორმატების შემოღება მიუღებლად და ლამის ღალატად მიიჩნიეს.

ქართველებთან დიალოგის მზადყოფნა მანამდეც არაერთხელ გამოუთქვამთ როგორც ასლან ბჟანიას, ისე ალექსანდრე ანქვაბსა და უშიშროების საბჭოს ფაქტობრივ მდივან სერგეი შამბას.

პარლამენტში გააკრიტიკეს როგორც ბიუჯეტის პროექტი, ისე მისი თანმხლები ინდიკატიური გეგმა. დეპუტატების შეფასებით, ამ პროექტებში არ აისახა ისეთი რეალური პრობლემები, როგორებიცაა კორონავირუსული ინფექციის გავრცელება, კრიზისი ენერგეტიკაში და სხვ. ინდიკატიური გეგმა კი წინა წლის გამეორებად ჩაითვალა.

საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ნატალი სმირმა პრემიერი უფლებამოსილების გადამეტებაში დაადანაშაულა.

მისი თქმით, აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურმა თავის უფლებებს გადააჭარბა, როცა 18 დეკემბერს გასცა კრიპტოვალუტის გამომუშავებისათვის საჭირო დანადგარების აფხაზეთში შემოტანის ნებართვა.

მთავრობას, მისი ინფორმაციით, საკუთარი უფლებების გაზრდა მანამდეც უნდოდა. კერძოდ, ზაფხულში პარლამენტში შემოვიდა ინიციატივა საგადასახადო-საბაჟო კონტროლის თაობაზე, რასაც პარლამენტი არ დაეთანხმა.

დეპუტატები ანქვაბის მეთაურობით წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტსაც იწუნებენ. მათი სიტყვებით, მასში ცვლილებებია შესატანი.

კანონმდებლები მთავრობას ბიუჯეტში შემოსავლების ზრდას ურჩევენ. შემომატებული თანხები, მათი აზრით, პირველ რიგში, უნდა დაიხარჯოს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი „აჩაგუარას“ რემონტზე. ეს უფრო აქტუალური ხდება ახლა, როცა იწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები ენგურჰესზე.

დეპუტატები ასევე მოითხოვენ, ბიუჯეტმა გაითვალისწინოს აფხაზური პენსიების ზრდა, ნარკოდისპანსერისათვის ტექნიკის შეძენა, მოხუცთა სახლისათვის ავტომანქანის ყიდვა და სხვ.

აფხაზური ბიუჯეტი, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება კამათის საგანი ოკუპირებულ რეგიონში. ამჟამად კოვიდინფიცირებულ ანქვაბს კი ვირუსის მოხდის შემდეგ მოუწევს გარკვეულ დათმობებზე წასვლა.

თუ არაფერი შეიცვალა, მალე აფხაზური ბიუჯეტი ისეთივე სახეს მიიღებს, როგორიც რუსეთის ფედერაციის რომელიმე სუბიექტის მუნიციპალური ბიუჯეტია. ამას ხელს უწყობს რუსეთთან სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის პროგრამა და სხვა მსგავსი შეთანხმებები. პროგრამის რეალიზაცია წელს გაგრძელდება.

სოხუმში, სხვა რეალურ მწვავე პრობლემებთან ერთად, თბილისის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეზეც ილაპარაკებენ.

საოკუპაციო ხელისუფლებამ 2020 წლის ბოლოს პირობა დადო, რომ საქართველოს ხელისუფლების სამხედრო განზრახვებზე განმარტებებს აშშ-ისგან მოითხოვს.

აფხაზეთში ბევრს თავზარი დასცა საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გახმიანებულმა გეგმებმა. საქმე ეხება სადაზვერვო და საბრძოლო უპილოტო მფრინავი აპარატების შეძენასა და ისრაელთან უკვე გაფორმებულ დოკუმენტს საქართველოს საჰაერო თავდაცვის სისტემის განახლებისა და მოდერნიზაციის თაობაზე.

სოხუმში აცხადებენ, რომ აზერბაიჯანმა მთიან ყარაბაღში სწორედ უპილოტო საბრძოლო საფრენი აპარატები გამოიყენა.

აფხაზეთის საგარეო უწყების აზრით, საქართველო ახალ სამხედრო ტექნიკას მოუგვარებელი კონფლიქტების ძალისმიერი გზით გადასაჭრელად გამოიყენებს.

„ოპოზიციას „ოცნებაზე“ გავლენის მოხდენა გაუჭირდება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ზე მისაღებია, რომ შემდეგი არჩევნები გაიმართოს 2022 წელს წმინდა პროპორციული და ელექტრონული წესით.

– ეს წინადადება მამუკა ხაზარაძემაც წამოაყენა, რასაც ოპოზიციის მხრიდან მწვავე კრიტიკა მოჰყვა.

– კი ბატონო. მე ჩემი პოზიცია მაქვს. სხვა შემთხვევაში მაშინ ოპოზიციამ თავისი ალტერნატივა წარმოადგინოს. მე ვამბობ, სურათს რეალურად რომ შევხედოთ. მასე ისიც უკანონობაა, რუსეთის ჯარი რომ დგას საქართველოს ტერიტორიაზე. ამით ირღვევა საერთაშორისო სამართლის პრინციპები, მაგრამ ომს ხომ არ დავუწყებთ! სხვა მეთოდებია საჭირო, რომ მივაღწიოთ შედეგს. აკაკი წერეთელს აქვს ნათქვამი ერთ-ერთ პოემაში: „სადაც არა ჭრის ლომობა, იქ უნდა მელიაობა“. უნდა გაითვალისწინო რეალობა და ის, თუ რა არის ხელისუფლების ძლიერი მხარე და რა არის სუსტი მხარე, ასევე – ოპოზიციის ძლიერი და სუსტი მხარეები. ე.წ. პოლიტოლოგები რომ გამოდიან და ამბობენ, ივანიშვილი უნდა წავიდესო, ეს გასაგებია, მაგრამ უნდა გააანალიზო და რეალური სურათი დახატო.

კი ბატონო, ფული „ოცნების“ მხარესაა და შეუძლია, იყიდოს კიდეც ადამიანები (არ მინდა ჩემს მოქალაქეებზე ასე საუბარი, მაგრამ რეალობა ასეთია). საჯარო უწყებებში დასაქმებულია 112.000-მდე ადამიანი. მათ ჰყავთ ნათესავები, როგორც ხდება საქართველოში, იმის ხათრითა და ამის ხათრით ხმის მიცემა, პლუს ოპოზიცია, პირველ რიგში კი ნაციონალური მოძრაობა აგებს საინფორმაციო ომს. გვისაუბრია ამაზეც, რომ ადამიანის უფლებები „ოცნების“ დროს უფრო დაირღვა, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის დროს, მაგრამ ფაქტია, რომ ხალხის ნაწილში ნაციონალები აღიქმებიან მკვლელებად, გამაუპატიურებლებად და სისხლისმსმელებად. პროპაგანდა მუშაობს და ნაცმოძრაობის დიდი შეცდომაა, რომ ვერ იმუშავა ჭორების გასაფანტად. იმავე გირგვლიანის მკვლელობის დროს ადამიანებმა 3 წელი მოიხადეს სასჯელი, მაჩალიკაშვილის მკვლელობის დროს კი ადამიანი ჩაცხრილეს და მტკიცდება, რომ სპეცრაზმმა გააკეთა ეს. ამის გამო არავინ დასჯილა და პროკურატურამ საქმეც კი შეაჩერა. რამდენიმე დღის წინ თელავის პოლიციის მაღალჩინოსანმა ადამიანი მოკლა. ეს რომ ნაცმოძრაობის ხელისუფლების დროს მომხდარიყო, რა ამბავს ატეხდა ოპოზიცია, ესეც ვიცით, ანუ შავ პიარს იგებს „ქართული ოცნება“.

ოპოზიციამ უნდა გაითვალისწინოს ძლიერი და სუსტი მხარეები. ოპოზიციის ძლიერი მხარეა ის, რომ ინტელექტუალური პოტენციალი ჰყავს, შეუძლიათ კონტაქტები საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ეს უნდა აიწონოს, რომ ოპოზიციამ მოახერხოს ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა. ყველას გვინდა ხელისუფლების დროულად შეცვლა, მაგრამ ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი ვადამდელი არჩევნების 2022 წელს დანიშვნაა, ოღონდ – პროპორციული და ელექტრონული სისტემით. თუ ეს არ უნდა ოპოზიციას, მაშინ ალტერნატივა წარმოადგინონ. ლაო ძის აქვს ნათქვამი: „გადადგი ნაბიჯი უკან და შენ გაიმარჯვებ“. ქართველებში კომპრომისი და დათმობა სისუსტედ აღიქმება, რაც არ არის სწორი. რეალობა უნდა აწონ-დაწონო და სხვანაირად იმოქმედო.

დეკანოზი თეოდორე გამეზარდაშვილი კორონავირუსით გარდაიცვალა



ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის მღვდელმსახური, დეკანოზი თეოდორე გამეზარდაშვილი კორონავირუსით გარდაიცვალა.

ამის შესახებ ინფორმაციას „საპატრიარქოს უწყებანი“ ავრცელებს.

„ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციით (კოვიდ 19) გარდაიცვალა ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის მღვდელმსახური, დეკანოზი თეოდორე გამეზარდაშვილი.

მამა თეოდორეს ჯანმრთელობის მდგომარეობა დაამძიმა ვირუსით გამოწვეულმა ინფექციამ“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ბორჯომში ახალი წლის ღამეს დედამ შვილი მოკლა

ბორჯომში, ვაშლოვანას დასახლებაში, ახალი წლის ღამეს დედამ შვილი მოკლა.

მომხდარზე შსს-მ ასეთი განცხადება გაავრცელა:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1958 წელს დაბადებული თ.პ. ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ბორჯომში დააკავეს.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალმა შვილს – 1979 წელს დაბადებულ ი.პ.-ს, თავიანთ საცხოვრებელ სახლში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე სასიკვდილო დაზიანება მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა – ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“.

გაირკვა, რომ მოკლული იგორ პოსტნიაკოვი. „ამბების“ ცნობით, შვილის დაჭრის შემდეგ 62 წლის ქალმა გამთენიისას, 5 საათზე, თავად დარეკა 112-ში და სასწრაფოს დახმარება ითხოვა, მაგრამ ექიმებმა დაჭრილს ცოცხალს ვეღარ მოუსწრეს.

თავად დედა პოლიციას ჩაჰბარდა. ის სამართალდამცავებმა სახლიდან პოლიციის შენობაში გადაიყვანეს.

ტრაგედიის დროს სახლში მოკლულის მამაც იმყოფებოდა, თუმცა იმ დროს მას ეძინა და ფაქტის თვითმხილველი არ არის. მომხდარის შესახებ ოჯახის წევრებს საუბარი არ სურთ. გარდაცვლილის მამა მხოლოდ იმას ამბობს, რომ შემთხვევის დროს სხვა ოთახში იყო.

– შვილი რომ გამოვიდა, ცოტა სისხლი სდიოდა, ვკითხე, რა მოხდა-მეთქი, მან მიპასუხა, არაფერიო. ამ დროს ცუდად გახდა. მე სხვა არაფერი ვიცი, – განაცხადა მან.

ადგილობრივების თქმით, შვილი დედაზე სისტემატურად ძალადობდა და, სავარაუდოდ, ტრაგედიის მიზეზიც სწორედ ეს გახდა.

– უკრაინელები არიან, წლებია, ბორჯომში ცხოვრობენ. იგორის დედა წლების განმავლობაში საბერძნეთში ცხოვრობდა და იქ მუშაობდა. ერთი წელია, რაც საქართველოში ჩამოვიდა. ზოგადად ოჯახის წევრებს სმა უყვართ. იგორი ბოლო წლებია, სულ სვამდა და მთვრალი დადიოდა. დედას სისტემატურად სცემდა, როცა მთვრალი იყო და ეს ქალი შვილისგან ძალადობის მსხვერპლი იყო.

ეტყობა, მორიგი კონფლიქტი მოხდა და გაბრაზებულზე დედამაც დანა ჩაარტყა. მოკლულის მამა, მიხეილ პოსტნიაკოვი, წლებია, გიდად მუშაობს ბორჯომში. ის ტურისტებს 1971 წლიდან ემსახურება. მას ამ ქალაქში ყველა იცნობს.

საქართველოში უკრაინიდან ტურისტად ჩამოვიდნენ, მერე ისე ძალიან მოეწონათ ბორჯომის ხეობა, რომ აქ გადმოსახლდნენ. მეუღლეც უკრაინელი ჰყავს. აქ დაიბადნენ მათი შვილები, უკვე ათეული წლებია, ბორჯომში ცხოვრობენ. მოკლული დაოჯახებული არ არის. ეტყობა, იმ ღამითაც ნასვამი იყო და მოხდა ეს ტრაგედია, – ამბობს ადგილობრივი.

იგორს ერთი და ჰყავს, რომელიც საბერძნეთშია გათხოვილი და იქ ცხოვრობს.

ახალციხის რაიონულ სასამართლოში მოსამართლემ საპროცესო გარიგებაზე ადვოკატის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა.

პროკურორის არგუმენტით, შესაძლებელი იყო, ბრალდებულს ქვეყანა დაეტოვებინა, რადგან მას აქვს სხვა ქვეყანაში ბინადრობის უფლება.

ნინოწმინდაში 32 წლის მამაკაცი მოკლეს. 3 პირი დაჭრილია

პირველ იანვარს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ სათხაში 32 წლის ს.ა. მოკლეს. გარდაცვლილს ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობა მუცელსა და ხელზე აქვს მიყენებული.

დაჭრილია კიდევ 3 პირი, მათ შორის 2 გარდაცვლილის ბიძაშვილია. მერის წარმომადგენლის, ანდრანიკ წარუკიანის განცხადებით, სოფელ სათხაში მომხდარი დაპირისპირება წარსულში მომხდარ კონფლიქტს უკავშირდება.

წარუკიანი ამბობს, რომ ს.ა.-ს სასიკვდილო ჭრილობა ამავე სოფელში მცხოვრებმა ო.პ.-მ მიაყენა.

– ს.ა.-ს მოჩხუბრების გაშველება უნდოდა და ამ დროს ესროლეს. დაჭრილი ძმები მისი ბიძაშვილები არიან. ო.პ.-ს სწორედ მათთან ჰქონდა პრობლემა. წლების წინ უბედური შემთხვევა მოხდა, ძმების მამა ო.პ.-ს ძმას დაეჯახა და ის დაიღუპა. ამ ამბავთან დაკავშირებით კონფლიქტი მხარეებს შორის პერიოდულად მწვავდებოდა. ეს ჩხუბი სოფელში დღეს დილით, გამთენიისას მოხდა, – ამბობს მერის წარმომადგენელი

სოფელ სათხაში.

მისი თქმით, გარდაცვლილს ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

ნინოწმინდის სამედიცინო დაწესებულებაში სამი პირი შეიყვანეს, მათ შორის 32 წლის ს.ა. უკვე გარდაცლილი იყო, ძმებს კი ჭრილობები აღენიშნებოდათ.

– კლინიკაში სამი ახალგაზრდა შემოვიდა. ერთი, სამწუხაროდ, გარდაცვლილი იყო, ორს ფეხებზე ჭრილობები აღენიშნებოდა. ჩვენს მომსახურებაზე უარი განაცხადეს და თქვეს, რომ ახალქალაქის კლინიკაში მივიდოდნენ, – განაცხადა კლინიკის მენეჯერმა ნატო ირემაძემ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული ო.პ. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ სათხაში რამდენიმე პირს შორის მოხდა ურთიერთშელაპარაკება, რა დროსაც ბრალდებულმა ო.პ.-მ თანასოფლელები – 1988 წელს დაბადებული ს.ა., 2001 წელს დაბადებული ს.ბ. და 1990 წელს დაბადებული ვ.ბ. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა. ამავე კონფლიქტის დროს ცივი იარაღით სხეულზე დაზიანებები მიიღო 1996 წელს დაბადებულმა მ.ი.-მ.

ს.ა. მიყენებული ჭრილობების შედეგად საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, ხოლო დანარჩენ 3 პირს ექიმებმა შესაბამისი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

ბრალდებული ო.პ. შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, თუმცა სამართალდამცველებმა მალევე დაადგინეს მისი ადგილსამყოფელი და მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

საქმესთან დაკავშირებით სხვა გარემოებების გამოკვეთისა და აღნიშნულ ფაქტთან შემხებლობაში მყოფი სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით გრძელდება ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები.

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

72 წლის მამამ ცაგერში 26 წლის შვილს ნაჯახით ხელი დაუზიანა

მას ელექტრონული სამაჯური დაუმაგრდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ცაგერის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1948 წელს დაბადებული ზ.გ., ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობის ბრალდებით, საქართველოს სსკ-ის 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით დაკავეს.

დანაშაული 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 2020 წლის 22 დეკემბერს, ცაგერის მუნიციპალიტეტში, ოჯახური კონფლიქტის დროს, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, შვილს – 1994 წელს დაბადებულ გ.გ.-ს ნაჯახით ხელზე დაზიანება მიაყენა. დაშავებულ ახალგაზრდა მამაკაცს ექიმებმა სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

დაკავებულ ზ.გ.-ს მიმდინარე წლის 25 დეკემბერს ცაგერის რაიონულმა სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეუფარდა 4.000 ლარის ოდენობით და იმავე დღეს მის მიმართ შემაკავებელი ორდერი გამოიცა.

ასევე, მოძალადის მიერ განმეორებით ძალადობის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ზ.გ.-ის მიმართ, შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად, ელექტრონული ზედამხედველობის დაწესებაზე. მას დაუმაგრდა ელექტრონული სამაჯური, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება მსხვერპლსა და წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიებთან მიახლოების მონიტორინგი. მოძალადის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შესრულება სავალდებულოა. ელექტრონული ზედამხედველობისთვის თავის არიდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

2 წლის ნიკოლოზი აუზში ჩავარდა

დედამ მანქანით კლინიკაში წაიყვანა და ავარიაში მოყვა

2020 წლის 31 დეკემბერს ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალ სოფელში 2 წლის ბავშვი დაიღუპა.

სოფელში მერის წარმომადგენლის იმედა ცარციძის ინფორმაციით, ბავშვი საკუთარი სახლის ეზოში არსებულ აუზში ჩავარდა და დაიხრჩო. მისივე თქმით, მშობლები სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის მოსვლას არ დაელოდნენ და საკუთარი ავტომობილით წაიყვანეს პატარა კლინიკაში, თუმცა ავარიაში მოყვნენ.

– ტრაგედია მოხდა გრიგალაშვილების ოჯახში, 2 წლის ბავშვი ეზოში მდებარე აუზში დაიხრჩო. როგორც მაქვს ინფორმაცია, ბავშვები ეზოში თამაშობდნენ. ამ წინასაახალწლოდ ოჯახის წევრები სამზადისში იყვნენ და ალბათ სათანადო ყურადღება ვერ მიაქციეს.

პატარა ნიკოლოზი აუზში რომ ჩავარდა, მშობლებს უფროსმა ძმამ უთხრა, რომელიც სამი წლის არის. ოჯახი არ დაელოდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადას, იფიქრეს, რომ დროში მოიგებდნენ, შეძლებდნენ ბავშვის გადარჩენას და საკუთარი ავტომობილით წაიყვანეს კლინიკაში, თუმცა, როგორც ვიცი, ბავშვი უკვე დაღუპული იყო.

სამწუხაროდ, გზაში ავარიაში მოყვნენ. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად კი არავინ დაშავებულა, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა ახალი სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში იმედა ცარციძემ.

ზესტაფონთან სახლი აფეთქდა

დედა-შვილი დაიღუპა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში უბედური შემთხვევა მოხდა. სოფელ საზანოში სახლში, სავარაუდოდ, ბუნებრივმა აირმა გაჟონა, რასაც აფეთქება მოჰყვა.

გარდაცვლილია ორი ადამიანი, 80 წლის დედა და 50 წლამდე შვილი, შვილიშვილი კი დაზიანებებით საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ადგილზე სამართალდამცველები იმყოფებოდნენ.

ოზურგეთის დედათა მონასტერში 8 კელია დაიწვა

2 იანვარს შემოქმედის ეპარქიის ოზურგეთის რეზიდენციასთან არსებულ დედათა მონასტერში ხანძარი იყო. ცეცხლი გამთენიისას კელიებში გაჩნდა, მაშინ როცა მონაზვნები ცისკრის ლოცვაზე ტაძარში იმყოფებოდნენ.

დამწვარია 8 კელია, განადგურებულია საყოფაცხოვრებო ნივთები და სიწმინდეები. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

პირველადი ინფორმაციით, ცეცხლის გაჩენა ელექტროსადენების გაუმართაობამ გამოიწვია.

„მთავარ არხთან“ საუბრისას მონასტრის სასულიერო პირი, მამა დავითი ამბობს, რომ ხანძრის შედეგად საცხოვრებლის მეორე სართული განადგურდა, დაიწვა პირადი ნივთებიც.

– დილით ადრე დედები ცისკრის მსახურებაზე იყვნენ გადასული, როცა გადმოდიოდნენ, საცხოვრებელ კერიებში დაინახეს ცეცხლი, სავარაუდოდ, ძველი ელექტროგაყვანილობის ბრალი იყო, დროულად მოხდა დაკავშირება სახანძრო სამსახურთან და მალევე ჩააქრეს. დაზიანდა მეორე სართული მთლიანად, პირველი სართული გადარჩენილია, შენობაში არავინ იყო, უბრალოდ, პირადი ნივთები განადგურდა, – ამბობს მამა დავითი.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განცხადებით, დამწვარია დაახლოებით 200 კვ.მ. ტერიტორია.

გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომელი ავარიაში დაიღუპა

მერსედესი წალენჯიხაში ჯებირს დაეჯახა

2 იანვარს მესტიის საავტომობილო გზაზე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ხოკოს მონაკვეთზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

„მერსედესის“ მარკის მსუბუქი ავტომობილი გზის დამცავ ჯებირს დაეჯახა. დაჯახების შედეგად დაიღუპა მანქანის მგზავრი, ხოლო მძღოლი მრავლობითი დაზიანებებით ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილი და მძღოლი გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლები არიან.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ფოთში ავარიაში 2 მამაკაცი დაიღუპა

მერსედესი ხეს შეასკდა

1 იანვარს ფოთში, მალთაყვის ხიდთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 2 ახალგაზრდა მამაკაცი დაიღუპა. „მერსედესის“ მარკის ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, სავალი გზიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა.

შემთხვევის ადგილზე მისულ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფებს ახალგაზრდები უკვე გარდაცვლილი დახვდნენ.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება 276 -ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

კაჭრეთში მანქანა ბოძს შეასკდა

2 მე-11 კლასელი გოგონა დაიღუპა, 2 მგზავრი მძიმედ დაშავდა

1 იანვარს ავტოსაგზაო შემთხვევას 2 ახალგაზრდა ემსხვერპლა, 2 კი მძიმედ დაშავდა. გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთში მსუბუქი ავტომობილი ელექტროგადამცემ ბოძს შეეჯახა.

შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ორი მეთერთმეტეკლასელი გოგონა ადგილზე დაიღუპა, დაშავებულები კი, რომელთაგან ერთის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმე იყო, სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გურჯაანის საავადმყოფოში გადაიყვანა.

ექიმების ინფორმაციით, ახალგაზრდებს სხეულის მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებათ. ავარიის სავარაუდო მიზეზი გადაჭარბებული სიჩქარე გახდა.

დიდ ბრიტანეთში ახალი რეგულაციები დაწესდება

გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონის თქმით, კორონავირუსის შემთხვევების ზრდის შეჩერების მიზნით ქვეყანაში ახალი რეგულაციები დაწესდება.

მას შემდეგ, რაც სამეფოში კორონავირუსის ახალი სახეობა აღმოაჩინეს, დაინფიცირებულ პაციენტთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამის გამო ლონდონში დაწყებითი სკოლების გახსნა კიდევ გადაიდო.

გაერთიანებულ სამეფოში რეგულაციების სიმკაცრე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რთულია ეპიდსიტუაცია ცალკეულ რეგიონში.

ბორის ჯონსონმა აღნიშნა, რომ ახალი რეგულაციების დაწესების შესახებ ინფორმაცია უახლოეს დღეებში გავრცელდება.

ბოლო მონაცემებით, გაერთიანებულ სამეფოში კორონავირუსის 2.599.000-ზე მეტი შემთხვევა ფიქსირდება.

ვირუსს 74.570 ადამიანი ემსხვერპლა.

თურქეთში 5 ტერორისტი გაანეიტრალეს

თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სირნაკის პროვინციაში, 5 ტერორისტი გაანეიტრალეს.

ტერორისტები შეიარაღებული იყვნენ და დამატებითი აღჭურვილობა გამოქვაბულში ჰქონდათ განთავსებული.

ჯერჯერობით დადასტურებული არ არის, არიან თუ არა ტერორისტები ქურთ მუშათა პარტიის წევრები.

ბოლო 30 წლის განმავლობაში ქურთ მუშათა პარტიის ტერორისტებმა თურქეთის, აშშ-ისა და ევროკავშირის ტერიტორიაზე ასობით ტერორისტული თავდასხმა მოაწყვეს, რასაც 40.000-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის ქალები და ბავშვები, ემსხვერპლა.

ერაყში ყასემ სოლეიმანის მოკვლის წლისთავი ანტიამერიკული ლოზუნგებით აღნიშნეს

გუშინ, 3 იანვარს, ერაყში, ბაღდადის ცენტრალურ მოედანზე, ირანელი გენერლის ყასემ სოლეიმანისა და ერაყული პოლიციის მეთაურის აბუ მაჰდი ალ-მუჰანდისის მკვლელობის წლისთავი აღნიშნეს.

შეკრებაზე ათიათასობით ერაყელი ანტიამერიკული ლოზუნგებით გამოვიდა.

შეგახსენებთ, 2020 წლის 3 იანვარს აშშ-ის სამხედროების მიერ ბაღდადის აეროპორტში განხორციელებული ოპერაციის დროს ირანელი სამხედრო მაღალჩინოსანი ყასემ სოლეიმანი დაიღუპა.

ცნობისთვის, რამდენიმე დღის წინ ირანის პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმ მოკლული გენერლის ყასემ სოლეიმანის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე შურისძიებაზე ისაუბრა.

როგორც ჰასან რუჰანმა განაცხადა, ირანს საბოლოოდ არ უძიებია შური.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რაგბის კავშირმა საუკეთესოები დაასახელა

2020 წელს თითქმის მთელ მსოფლიოში საუკეთესოები არ დაუსახელებიათ. ამის მიზეზი პანდემიაა, რომელმაც ბევრი ტურნირი ჩაშალა, თუმცა, ვინც ბოლომდე ჩამთავრება მოასწრო, ცხადია, საუკეთესოებს თავისი შანსი მისცა. ერთ-ერთი ასეთი საქართველოს რაგბის კავშირია, რომელიც ახალ წელს ახალი თავკაცით ხვდება.

ახალი ხელმძღვანელობა

2020 წლის ბოლოს, 30 დეკემბერს, გაიმართა საქართველოს რაგბის კავშირის ნამდვილ წევრთა საერთო კრება (ყრილობა), რომელზეც ბორჯღალოსნების ყოფილი კაპიტანი, ირაკლი აბუსერიძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტად იქნა არჩეული.

ირაკლი აბუსერიძე:

– ყველას დიდი მადლობა გვერდში დგომისთვის. ჩვენ უნდა აღვადგინოთ ის ბზარი, რომელიც ბოლო დროს რაგბიში გაჩნდა და მზად ვართ თანამშრომლობისთვის ყველასთან, რადგან თქვენი გვერდში დგომის გარეშე ქართული რაგბი წინ ვერ წავა.

ბოჰჯღალოსნები

წელს პანდემიის გამო იყო ეროვნული, ახალგაზრდული, 7-კაცა და 7-ქალა ნაკრებების ჩაშლილი და გადადებული მატჩები თუ ტურნირები, თუმცა ამავე მიზეზით ბორჯღალოსნებს შემოდგომის ერთა თასზე მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მიეცათ.

საქართველოს ნაკრებმა წლის განმავლობაში სულ 9 თამაში გამართა. წლის დასაწყისში ბორჯღალოსნები ტრადიციულად რაგბი ევროპის ჩემპიონატში ჩაერთნენ და ერთმანეთის მიყოლების რუმინეთი (41:13), ესპანეთი (23:10), ბელგია (78:6) და პორტუგალია (39:24) დაამარცხა, რითაც ერთი ტურით ადრე, მე-12-ედ გახდნენ ტურნირის გამარჯვებულნი. რუსეთთან მატჩი პანდემიის გამო ჯერ შემოდგომისთვის, მერე კი 2021 წლის 6-7 თებერვლისთვის გადაიდო.

პანდემიის გამო ჩაიშალა ბორჯღალოსნების ზაფხულის ტურნე სამხრეთ აფრიკაში, რომლის ფარგლებში ტესტმატჩი მსოფლიოს ჩემპიონ „სპრინგბოკსთან“ უნდა გვქონოდა. ასევე ნოემბერში გასამართი ტესტმატჩი – საფრანგეთთან.

სამაგიეროდ, ოქტომბერში, ტესტმატჩისთვის მიგვიწვია შოტლანდიამ, მერე კი მსოფლიო რაგბიმ და ექვსმა ერმა ახალ ტურნირში – „შემოდგომის ერთა თასში“ ჩაგვრთო, რომლის ფარგლებში ვეთამაშეთ ინგლისის, უელსის, ირლანდიისა და ფიჯის უძლიერეს ნაკრებებს.

საქართველო ტურნირზე ყველაზე ახალგაზრდული გუნდით იყო წარმოდგენილი და მორაგბეებმა უდიდესი გამოცდილება მიიღეს. ტურნირზე ყველაზე მეტი ბოჭვა ბექა საღინაძემ შეასრულა, მერაბ შარიქაძეს მესამე მაჩვენებელი ჰქონდა, ხოლო გიორგი კვესელაძე ტურნირის აღმოჩენად იქცა. ირლანდიასთან მის მიერ გატანილი ღელო ტურში საუკეთესოდ აღიარეს, ხოლო თავად 24 წლის მორაგბე ტურის მოთამაშე გახდა. მოგვიანებით, მან კონტრაქტი ინგლისის პრემიერშიფის გლოსთერთან გააფორმა.

2021 წელს ბორჯღალოსნები თებერვლის დასაწყისში რუსეთთან გადადებული მატჩით დაიწყებენ, რასაც 2021 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მატჩები მოჰყვა. შეგახსენებთ, 2021-2022 წლების რაგბი ევროპის ჩემპიონატის ჯამური შედეგით პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები 2023 წლის მსოფლიო თასზე საფრანგეთში ითამაშებენ.

2021 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატი საქართველოსთვის ივლისის პირველ კვირაში დასრულდება, რის შემდეგაც ბორჯღალოსნები ზაფხულის ტესტმატჩებს ითამაშებენ, ნოემბერში კი ტრადიციული შემოდგომის ტესტები ელით.

წლის საუკეთესოები

2019 წლის მსოფლიო თასის შემდეგ ბორჯღალოსნებში თაობათა ცვლის პროცესი დაიწყო და განვლილ 9 მატჩში გუნდში 10 დებიუტანტი ვიხილეთ.

წლის ბოლოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა 5 გამორჩეული მორაგბე შეარჩია, რომელთაგან საუკეთესოდ გულშემატკივარმა ბექა გორგაძე დაასახელა. 24 წლის მესამეხაზელი ნაკრებში 2015 წლიდან თამაშობს და მის ანგარიშზე 31 კეპი და 8 ღელოა. ბექამ გასულ წელს ცხრავე მატჩში მიიღო მონაწილეობა. ირლანდიასთან მიღებული ტრავმის გამო ფიჯის წინააღმდეგ ვეღარ ითამაშა.

გორგაძემ თითო ღელო გაუტანა ბელგიასა და პორტუგალიას, ხოლო „შემოდგომის ერთა თასზე“ ბორჯღალოსნების თითქმის ყველა შეტევის სულისჩამდგმელი, დაცვაში კი საიმედო იყო. ბექა გულშემატკივარმა საუკეთესოდ 2019 წელსაც აღიარა და ეს პატივი ზედიზედ მეორედ ერგო.

2020 წლის საუკეთესო ღელო უდაოდ გიორგი კვესელაძის ღელო გახდა, რომელიც მან შემოდგომის ერთა თასზე ირლანდიის წინააღმდეგ გაიტანა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვესელაძის ღელო ტურისა და მთლიანად ტურნირის საუკეთესო ღელოდ დასახელდა.

წლის მეღელოვე აკაკი ტაბუცაძე გახდა, რომელსაც სანაკრებო დებიუტი წელს, ესპანეთის ნაკრებთან ჰქონდა და ეს ფაქტი ღელოთი აღნიშნა, მომდევნო მატჩში კი ბელგიას 4 ღელო გაუტანა. წარმატებული სერია შემოდგომაზეც გაგრძელდა და აკამ ღელო შოტლანდიასაც გაუტანა. სულ ტაბუცაძემ 7 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 6 ღელო გაიტანა.

წლის მექულე მგეზავი თედო აბჟანდაძეა, რომელმაც წლის განმავლობაში გუნდს 56 ქულა შესძინა (1 ღელო, 18 გარდასახვა და 5 ჯარიმა). მისი საერთო მონაგარი 118 ქულამდე გაიზარდა.

განვითარებასა და წინსვლას განაგრძობს ნიკა ამაშუკელი, რომელიც მეშვიდედ გახდა საქართველოს საუკეთესო მსაჯი.

გასულ წელს ამაშუკელმა პირველად იმსაჯა (გვერდითი) ტიერ 1-ის გუნდების მატჩი („შემოდგომის ერთა თასზე“ შოტლანდია – საფრანგეთი უეინ ბარნსთან ერთად), ერთი თამაში კი პანდემიის გამო ჩაიშალა (შოტლანდია – ფიჯი); წარუძღვა ჩელენჯ ქაფის 4 მაღალი დონის შეხვედრას; იმსაჯა 20-წლამდელთა 6 ერის 2 თამაში. ეს ტრადიცია გრძელდება და თებერვალში ნიკა ამავე ტურნირზე შოტლანდიისა და უელსის მატჩს განსჯის; ჰქონდა დებიუტი პრო 14-ში, ხოლო პრო დე 2-ში მისი დებიუტი პანდემიის გამო ჩაიშალა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯალეიდოსკოპი

ღამით ტუალეტში გასული გოგონა ლომის მსხვერპლად იქცა

ინდოეთის გუჯარათის შტატის სოფელ დხანფულიაში ლომმა გოგონა დაგლიჯა, რომელიც ღამით ტუალეტში გავიდა.

სოფლის მეურნეობის სფეროში მომუშავე მიგრანტების ოჯახის წევრი ორი გოგონა ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სახლიდან გამოვიდა და იქვე ტყეს მიაშურა. გზად მათ თავს მტაცებლები დაესხნენ.

– მათ თავს ორი ახალგაზრდა ლომი დაესხა. ერთ-ერთმა მტაცებელმა 14 წლის გოგონა მოკლა და დაგლიჯა. იქვე შორიახლოს მყოფმა ჩვენმა თანამშრომელმა ხმაური გაიგონა და შემთხვევის ადგილისკენ გაიქცა. მან ლომები შენიშნა, ამის შემდეგ დაღუპული გოგონას ცხედარიც აღმოაჩინა, – განაცხადა ადგილობრივი სატყეო მეურნეობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ სუნილ ბერვამ.

მეორე გოგონამ თავის გადარჩენა წყლის აუზში ჩახტომით მოახერხა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მტაცებლების დასაჭერად სოფლის შემოგარენში ხაფანგები დადგა.

ბებიამ გველისგან დაკბენილი შვილიშვილი გადაარჩინა

ავსტრალიის ქალაქ მანჯერაში, რომელიც დასავლეთ ავსტრალიის შტატში მდებარეობს, შხამიანმა გველმა სამი წლის ბავშვი დაკბინა.

გოგონა ძმასთან და ბებიასთან ერთად ბურთს თამაშობდა და ვერ შენიშნა გველი, რომელიც ბუჩქნარიდან გამოძვრა. მან ქვეწარმავალს შემთხვევით ფეხი დაადგა, შედეგად კი გველმა მას უკბინა. ამის დანახვაზე ბებია არ დაიბნა, ბავშვი დააწვინა ფეხები მაგრად გადაუხვია, რომ სისხლის მიმოქცევა და შედეგად შხამის გავრცელება შეეჩერებინა. მან სასწრაფო დახმარება გამოიძახა, რომელმაც ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანა. იქ გოგონას შხამის საწინააღმდეგო წამალი გაუკეთეს და ბავშვი გადარჩა.

სავარაუდოდ, გოგონას ლაქებიანმა ყავისფერმა გველმა უკბინა. მისი შხამი ერთ-ერთ ყველაზე ძლიერმოქმედად ითვლება და სასიკვდილოა ადამიანისთვის. მისგან დაკბენილი ადამიანების უმრავლესობა გულის გაჩერებით მანამდე იღუპება, სანამ მას საავადმყოფოში მიიყვანენ. ექიმები თვლიან, რომ გოგონა ბებიის სწრაფმა და სწორმა მოქმედებამ გადაარჩინა.

ფრინველების მოთვალთვალე მამაკაცმა უძველეს განძს მიაგნო



აღმოსავლეთ ინგლისში მამაკაცმა უამრავი ძველი მონეტებისგან შემდგარ განძს მიაგნო. ინგლისელმა, რომლის ვინაობა უცნობია, ოქროს ბრჭყვიალი იმ დროს შენიშნა, როდესაც ახლად მოხნულ მინდორში ფრინველებს უთვალთვალებდა. მან ნაპოვნ ნივთს მიწა მოაშორა და ხელში დაახლოებით ორი ათასი წლის ოქროს მონეტა შერჩა. შემდეგ მან კიდევ ერთი მონეტა იპოვა იმ ადგილიდან ერთ ნაბიჯში, სადაც პირველი მონეტა იპოვა. ამის შემდეგ მამაკაცი სახლში გაიქცა ლითონმაძიებელი მოწყობილობისთვის და განძის ძებნას შეუდგა.

ძლიერი სიგნალის დაჭერის შემდეგ, ის მიწის თხრას შეუდგა და წააწყდა ქოთნის ფორმის ჭურჭელს, რომელშიც დაახლოვებით 1,3 ათასი მონეტა იდო.

– მიწაზე დავჯექი იმისთვის, რომ მღელვარებისგან სული მომეთქვა და გონება მომეკრიბა. სასეირნოდ გამოვედი და კელტური მონეტები აღმოვაჩინე, – განმარტა მამაკაცმა.

ექსპერტები თვლიან, რომ თითოეული მონეტა 650 ფუნტი ღირს და ამან მამაკაცს შეიძლება საერთო ჯამში 845 ათასი ფუნტის მოგება მოუტანოს. 50 წლის ინგლისელის თქმით, განძის გაყიდვიდან მიღებული ფული მის ცხოვრებას რადიკალურად შეცვლის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„ჩემი ცოლის დაქალები“ დააჯარიმეს

ფორმულა „კრეატივის“ გახმაურებული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ დააჯარიმეს. გადაწყვეტილება მარეგულირებელმა კომისიამ მიიღო.

დაჯარიმების მიზეზი სერიალის დღისით ჩვენება გახდა. სანქციის ოდენობა ამ ეტაპზე ცნობილი არ არის.

თბილისის ახალგაზრდულ ორკესტრს გია ყანჩელის სახელი მიენიჭა

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ჩამოყალიბებულ თბილისის ახალგაზრდულ ორკესტრს კომპოზიტორ გია ყანჩელის სახელი მიენიჭა.

ინფორმაცია კომპოზიტორმა მიშა მდინარაძემ გაავრცელა. თბილისის ახალგაზრდული ორკესტრი 2 წლის წინ ჩამოყალიბდა და ამ მცირე დროის განმავლობაში არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

დავით წერედიანს ვაჟა-ფშაველას პრემია მიენიჭა



პოეტ დავით წერედიანს პოეტური კრებულისთვის „პარაპეტი“ გარდაცვალების შემდეგ ვაჟა-ფშაველას სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია გაიცემა ლიტერატურის დარგში – პროზაში, პოეზიაში, პუბლიცისტიკაში – უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებისათვის, რომელიც მხატვრულ ღირსებათა გამო საერთო ეროვნულ აღიარებას მოიპოვებს და განმსჭვალულია თავისუფლების, ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით.

ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია პირველად 2018 წელს გურამ დოჩანაშვილს მიენიჭა.

ლევან ღვინჯილია ანსამბლ „აფხაზეთის“ ხელმძღვანელობიდან გაათავისუფლეს



ლევან ღვინჯილია სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „აფხაზეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

ინფორმაცია ენათმეცნიერმა თავად გაავრცელა:

– აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძისაგან დღეს მივიღე „ძვირფასი საახალწლო საჩუქარი“ – აღარ ვარ სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „აფხაზეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელი! ეს ის ანსამბლია, სადაც, თანამოაზრე კოლეგებთან ერთად, გავატარე 6 წელიწადი. ანსამბლის თითოეულ წევრს ვუღოცავ 2021-ს და ვუსურვებ სრულ ოჯახურ და პირად ბედნიერებას.

პაატა ბურჭულაძე: „ერთად ვიმღეროთ „ღვინოვ, კახურო!“

ოპერის მომღერალი პაატა ბურჭულაძე ყველას უსურვებს, ახალი წელი საუკეთესო იყოს:

– მოდით, ცოტა ხნით წარმოვიდგინოთ და ჩავიფიქროთ, თითქოს ჩვენ გარშემო აღარ შიმშილობს არც ერთი ბავშვი, გვყავს მრავალპარტიული პარლამენტი, ხალხზე მზრუნველი და პატიოსანი მთავრობა, სამართლიანი სასამართლო, რომელმაც ივერი მელაშვილსა და ნატალია ილიჩოვას ბოდიში მოუხადა, შემდეგ ორივე ღირსების ორდენით დააჯილდოვეს პატრიოტული და თავდადებული შრომისთვის.

წარმოვიდგინოთ, რომ აღარ არსებობს იმისიანი და ამისიანი, ყველას ერთმანეთი უყვარს და ახალგაზრდა, განათლებულ ქართველებს უწყობენ ხელს წინსვლაში. დემოკრატიულ და ღირსეულ ქვეყანაში მსოფლიო ვარსკვლავებს კვლავ უჩნდებათ ჩამოსვლის სურვილი და იმართება დაუვიწყარი საქველმოქმედო საღამოები. უცხოეთში გვასახელებს ქართული კულტურა, სპორტი, მეცნიერება... ემიგრანტებს უჩნდებათ დაბრუნების სურვილი, იშლება უკანონოდ დაწესებული საზღვრები და გამთლიანებული საქართველოთი ვხვდებით 2021 წელს.

თუ წარმოიდგენთ ჩემთან ერთად, ჩამოასხით, მივუჭახუნოთ ჭიქები და ერთად ვიმღეროთ „ღვინოვ, კახურო!“

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქუთაისი და რუსთავი ისევ იგებენ

ტიტები-ქუთაისი 76:89
(26:19, 11:23, 22:18, 17:29)

სატურნირო ცხრილში სუპერლიგის ერთპიროვნული ლიდერი შეიცვალა და ახლა ქუთაისია. რიონისპირული გუნდი დაკარგული ქულებით ისედაც პირველ ადგილზე იყო, მაგრამ, სანამ გამოტოვებული მატჩი არ ჩაატარა, მანამდე ეს უფლება თსუ-ს ჰქონდა, თანაც, კოტე ტუღუშის გაწვრთნილ გუნდს კიდევ ერთი თამაშით ნაკლები აქვს და ერთადერთი გუნდია, რომელსაც სუპერლიგის მიმდინარე სეზონში წაგების გემო არ განუცდია.

იმერულმა კლუბმა ტიტები 89:76 დაამარცხა. მანუჩარ მარკოიშვილის გაწვრთნილი გუნდი ნებისმიერ მატჩში ბოლომდე იბრძვის და არც სუპერლიგის ლიდერს არ დაუდო ტოლი. მე-3 პერიოდში ტიტები მცირედით, მაგრამ წინ იყო, მაგრამ ქუთაისელებმა ბოლო მეოთხედში დაამტკიცეს, თუ რატომ არიან ლიდერები.

მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი საუკეთესო მსროელი, ლიუკ მოიერი აკლდა, ქუთაისმა ბოლო პერიოდში ტიტებს შანსი არ დაუტოვა. სამქულიანები, სწრაფი შეტევები, საშუალო სროლები – ქუთაისელებს ყველაფერი წაუვიდათ და დასკვნითი ათწუთეული 29:17 მოიგეს. შესაბამისად, გამარჯვებაც სტუმრებს დარჩათ, რომელთაგანაც 6-მა კალათბურთელმა უწია ათქულიან ბარიერს.

საუკეთესო შედეგი კაჰიმ რენსომმა (18 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი) და დეჯან რაითმა (12 ქულა, 9 პასი, 5 მოხსნა) დააფიქსირეს. 16 ქულა ჰქონდა ჟოელ ალმეიდას. ტიტებში 31 ქულით, 7 მოხსნითა და 4 პასით გამოკვეთილად საუკეთესო იყო ტაილან ბირტსი. 18 ქულა და 4-4 მოხსნა-პასი ჯორდონ თალის ანგარიშზეა.

ცხუმ აფხაზეთი-რუსთავი 65:72
(14:20, 20:18, 20:15, 11:19)

ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა რუსთავმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის ცხუმ-აფხაზეთი დაამარცხა და დაკარგული ქულების მხრივ სუპერლიგის ცხრილში მხოლოდ ქუთაისს ჩამორჩება. რუსთაველებს კოვიდინფექციის გამო სხვა გუნდებზე მეტი მატჩი გაუცდათ და ნაკლული ქულების გამო ცხრილში შედარებით დაბლა არიან.

რუსთაველთა გუშინდელი მეტოქე პრინციპული იყო. ცხუმ-აფხაზეთს საკმაოდ კარგი შედეგები აქვს და ამ შეხვედრამდე სუპერლიგაში მხოლოდ 3 მარცხი ჰქონდა. ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა რუსთაველებს ტოლსწორად ებრძოლა. მიუხედავად სადებიუტო ჩამორჩენისა, ცხუმელებმა თამაში თანაბარ კალაპოტს მაღლევე დაუბრუნეს და გამარჯვების შანსს ბოლომდე ინარჩუნებდნენ.

საბოლოო სიტყვა რუსთაველმა ლეგიონერებმა თქვეს, რომელთა წინამძღოლობითაც ქვემოქართლურმა გუნდმა თამაში სათავისო შედეგით ისე დაასრულა, ბოლო წუთებზე ვითარება არ დაძაბულა. ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა გუნდმა საბოლოოდ 72:65 მოიგო.

გამარჯვებულებს 22 ქულით მაიკ დევისმა ულიდერა. 16 ქულა ჰქონდა მალიქ უაიტს, ხოლო ჯილან ვაშინგტონმა შეხვედრა 13 ქულით დაასრულა. ცხუმ აფხაზეთში 16-16 ქულით ალექსანდრე ფევაძე და ტაილერ გრინი გამოირჩნენ, 11 ქულა და 11 მოხსნა რაჰიმ ჯონსონის ანგარიშზეა.

ბათუმი-ოლიმპი 78:88
(22:21, 15:24, 20:19, 21:24)

აჭარაში სათამაშოდ ჩავიდა თბილისის ოლიმპი, რომელმაც ჩემპიონატი მძიმედ დაიწყო, თუმცა მთავარი მწვრთნელის შეცვლის შემდეგ შედეგები გამოასწორა. ოლიმპელებს 6 ტურის შემდეგ 5 წაგება ჰქონდათ, როცა დიმიტრი ჯაკობოვის ნაცვლად მთავარი მწვრთნელის პოსტი დავით როგავამ დაიკავა და მას შემდეგ გუნდმა 4-დან 3 შეხვედრა მოიგო.

მასპინძლებმა მატჩი კარგად დაიწყეს. პირველ პერიოდის შემდეგ გია კაზანჯიანის გაწვრთნილი გუნდი 22:21 იგებდა, მაგრამ გუნდური თამაშითა და სწრაფი კონტრშეტევებით ოლიმპმა თამაში დაალაგა და ხელჩასაჭიდი უპირატესობის მოპოვება მოახერხა. პერიოდის 24:15 მოგების შემდეგ სტუმრები დიდ შესვენებაზე 8-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ და ტემპი არც მეორე ნახევარში დააგდეს.

ზღვისპირელები ცდილობდნენ მაქსიმუმს და პერიოდულად ჩამორჩენას მინიმუმამდეც ამცირებდნენ, თუმცა მოსაგებად შემართული და, რაც მთავარია, გააზრებულად მოთამაშე ოლიმპელთა შეჩერება მასპინძლებმა ვერ შეძლეს. საბოლოოდ როგავას გუნდმა 88:78 იმარჯვა.

ვერა-მგზავრები 72:77
(12:25, 20:11, 17:20, 23:21)

სუპერლიგის აუტსაიდერმა მგზავრებმა ვერას 77:72 სძლია და ახალ წელს დადებითი განწყობით ხვდება. ანატოლი ბერიშვილის გაწვრთნილ მგზავრებს აქამდე მხოლოდ 1 მატჩი ჰქონდა მოგებული. მართალია, ამ გამარჯვების მიუხედავად, ბოლო ადგილზე დარჩა, მაგრამ კონკურენტებთან ჩამორჩენა მნიშვნელოვნად შეამცირა.

მგზავრები ამ გამარჯვებამდე კარგა ხანს მოდიოდა. ბოლო მატჩები ბერიშვილის გუნდმა ქუთაისთან (89:95), ცხუმ-აფხაზეთთან (83:85) და ოლიმპთან (79:81) დაძაბულ ბრძოლებში დათმო. თითქმის ყველა მატჩში გამარჯვება შეეძლო, თუმცა ბოლო წამებზე არ გაუმართლა. დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა ვერასთან მატჩშიც, რომელსაც მთელი შეხვედრის განმავლობაში მგზავრები იგებდნენ, თუმცა ვერელებმა ბოლო წუთებზე მოახერხეს ვითარების დაძაბვა.

გივი ბაქრაძისა და ჯოშ ჰავლის 3-ქულიანების შემდეგ ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა ვერამ ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირა – 72:75. თამაშის დასრულებამდე 1 წუთი რჩებოდა, თუმცა მგზავრების მოთამაშეებმა წინა შეხვედრების ბოლო წამებზე დაშვებული შეცდომები აღარ გაიმეორეს და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს.

გამარჯვებულებს 18 ქულით, 20 მოხსნითა და 5 შედეგიანი გადაცემით სოსო გოგნაძემ ულიდერა. 19 ქულითა და 7 მოხსნით ტეილორ ედვეი გამოირჩა, ხოლო ოთარ პერტაიამ თავი 9 ქულასა და 5 პასს მოუყარა. ვერაში 26 ქულითა და 10 მოხსნით საუკეთესო იყო ბრაისონ სკოტი. 13 ქულა ჯალენ ბრედლიმ, ხოლო 12 ქულა და 10 მოხსნა ჯოშ ჰავლიმ მიითვალეს.

სატურნირო ცხრილი:

1.ქუთაისი	9	9	0	891-738	18
2.თსუ	10	7	3	862-841	17
3.ცხუმი	10	6	4	819-748	16
4.რუსთავი	8	7	1	687-591	15
5.ოლიმპი	10	4	6	758-801	14
6.ტიტები	10	4	6	808-826	14
7.ბათუმი	10	3	7	843-927	13
8.ვერა	10	3	7	745-818	13
9.კაკტუსი	9	3	6	652-721	12
10.დინამო	8	3	5	720-746	11
11.მგზავრები	8	2	6	635-663	10

დილას უკრაინელი გაწვრთნის

გიორგი ნემსაძის თბილისის დინამოში წასვლის შემდეგ გორის დილას ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს – უკრაინელი ანდრეი დემჩენკო.

44 წლის უკრაინელ სპეციალისტსა და დილას შორის 2-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა. დემჩენკომ სამწვრთნელო კარიერა ზაპოროჟიეს მეტალურგის ასაკობრივ გუნდში დაიწყო, შემდეგ საქმიანობა უზბეკურ ობოდში განაგრძო, ბოლოს ხარკოვის მეტალისტში ჯერ მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მოღვაწეობდა, 2019-20 წლების სეზონში კი ამავე გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაინიშნა. მისი ხელმძღვანელობით ხარკოველებმა 26 მატჩი ჩაატარეს, საიდანაც 13 მოიგეს, 5 ფრედ დაასრულეს და 8-ჯერ დამარცხდნენ.

თუ მის სამწვრთნელო კარიერას გადავავლებთ თვალს, სტატისტიკურად ყველაზე მეტჯერ 4-1-4-1 სქემას იყენებს. გარკვეულ მატჩებში 4-3-3 და 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემებსაც მიმართავს. ვულოცავთ ანდრეის ჩვენი კლუბის მთავარ მწვრთნელად დანიშვნას და წარმატებებს ვუსურვებთ.

შერმადინი და მამუკელაშვილი მეორე ადგილზე არიან

გიორგი შერმადინის ტენერიფემ მადრიდის რეალს უმასპინძლა და 85:92 დამარცხდა.

თამაში თავიდან ბოლომდე თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მესამე პერიოდში ტენერიფემ 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა – 66:56 და თითქოს მორიგი გამარჯვებისკენ მიდიოდა, მაგრამ რეალმა მატჩის ბოლოს ჩამორჩენა აღმოფხვრა და წინასწარ ცხადი იყო, გაიმარჯვებდა ის, რომელიც ბოლო წუთებს უკეთ ჩაატარებდა.

საფინალო სირენამდე 5 წუთით ადრე ტენერიფე 82:80-ს იგებდა. სწორედ ამ დროს შერმადინმა მე-4 ჯარიმა მიიღო და მწვრთნელმაც 3 წუთით დაასვენა. სწორედ ეს მონაკვეთი მადრიდელებმა 11:2 მოიგეს და თამაში თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვიტეს.

მატჩის საუკეთესო კალათბურთელად გიორგი შერმადინი დასახელდა, რომელმაც 25 წუთში 18 ქულა, 8 მოხსნა, 4 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. ქართველმა ცენტრმა 14-დან 8 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 25-ს გაუტოლდა.

ტენერიფეს 17 ტურის შემდეგ 14 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-2 ადგილზეა, რეალი კი 16 მოგებით პირველია.

სანდრო მამუკელაშვილის ლიდერობით სეტონ ჰოლმა ბატლერი 68:60 დაამარცხა და ეს გამარჯვება ქართველმა ფორვარდმა დედას მიუძღვნა დაბადების დღის აღსანიშნავად.

მამუკელაშვილი მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე და, რა თქმა უნდა, მვპ გახდა. სასტარტო ხუთეულში მყოფმა მან მოედანზე 38 წუთი დაჰყო და 24 ქულა, 9 მოხსნა, 6 შედეგიანი გადაცემა და 1 დაფარება მოაგროვა. საინტერესოა, რომ მამუკელაშვილმა 7-ჯერ ესროლა ორქულიანიც (6 ჩააგდო), საჯარიმოც (6) და სამქულიანიც (2).

5 მოგებითა და 1 მარცხით სეტონ ჰოლი ბიგ ისტის კონფერენციაში მე-2 ადგილზეა. მომდევნო მატჩს მამუკელაშვილის გუნდი რატი ანდრონიკაშვილის კრეიტონთან გამართავს. თუმცა ქართული დერბი არ შედგება – ანდრონიკაშვილი ტრავმირებულია და მოედანზე გაზაფხულამდე ვერ გავა.

პსჟ პოჩეტინოს ჩააბარეს

პარი სენ-ჟერმენმა წლის დასაწყისშივე გამოაცხადა მთავარ მწვრთნელად არგენტინელი მაურისიო პოჩეტინოს დანიშვნის შესახებ. 48 წლის სპეციალისტთან პარიზელებმა კონტრაქტი 2022 წლის 30 ივნისამდე გააფორმეს, სურვილის შემთხვევაში კი მას კიდევ ერთი წლით გააგრძელებენ.

მაურისიო პოჩეტინო:

– ბედნიერი ვარ, დიდი პატივია პარიზული კლუბის მთავარ მწვრთნელად დანიშვნა. მადლობას ვუხდი კლუბის ხელმძღვანელობას ნდობისთვის. პსჟ-ს ჩემს გულში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა. გამორჩეულად მაგონდება „პარკ დე პრენსზე“ შექმნილი იდეალური საფეხბურთო გარემო. დიდი ენთუზიაზმით დავბრუნდი პარიზში, მოუთმენლად ველი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებთან მუშაობის დაწყებას. სამწვრთნელო შტაბთან ერთად ვეცდებით, ამ გუნდის უდიდესი პოტენციალი სრულად გამოვავლინოთ და ნებისმიერ ტურნირზე წარმატებით ვიასპარეზოთ.

შეგახსენებთ, რომ მაურისიო პოჩეტინომ პსჟ-ის მთავარი მწვრთნელის პოსტზე გერმანელი თომას ტუხელი შეცვალა, რომელიც თანამდებობიდან 29 დეკემბერს გაათავისუფლეს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები



კოტე ბაქრაძის ხსოვნას

მხოლოდ 40 დღე გავიდა შენი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ და ყველას – ოჯახის წევრებს, მეგობრებს, ახლობლებს ცრემლი არ შეგვშრობია თვალზე.

ალბათ, 2x40 წელი რომ გვქონდეს კიდევ თითოეულ ჩვენგანს, არც ერთი დღე არ იქნებოდა შენი სახელის გახსენების გარეშე. ნეტავ, შესაძლებელი იყოს, ხმა მოგაწვდინოთ. როგორ გვაკლიხარ ყველას – დიდსა თუ პატარას. როგორი მზრუნველი იყავი ყველასთვის და როგორი იმედი ღხინსა თუ ჭირში. თავად მორიდებული, ცდილობდი, ზედმეტად არავინ შეგეწუხებინა და ახლაც, როდესაც შეუძლოდ გახდი, ბოლომდე არ გაგვიმხილე შენი სატკივარი ახლობლებს და, სამწუხაროდ, გვიანი აღმოჩნდა.

როგორი ძნელია უშენობა უკლებლივ ყველასთვის. ყველას თვალწინ გვიდგახარ შენთვის დამახასიათებელი კეთილი და იმედის მომცემი ღიმილით, სათნო გამოხედვით, სიყვარულით აღსავსე გულით. ძალიან გვიჭირს უშენობა. უშენოდ დაცარიელდა ოჯახი, სახლი და მთლიანად სამყარო. მძიმეა 2021 წელი. შვილიშვილები თოვლის ბაბუის ნაცვლად კოტე ბაბუას მოელოდნენ, მაგრამ ამაოდ.

დააკლდი ყველას. შენ იყავი წარმატებული ქართველი ვეტერანი-მეღვინე, ძირძველი „სამტრესტელი“ და თბილისის (განსაკუთრებით კი ვერის) კოლორიტი.

1964-65 წლებში ახალგაზრდა მეღვინე გაიზარდე დიდი მეღვინეობის მცოდნე სპეციალისტების ხელში და ჩამოყალიბდი, როგორც გამოცდილი ენოქიმიკოსი. 26 წელი იმუშავე „სამტრესტის“ ცენტრალურ ლაბორატორიაში უფროს ინჟინრად და არ გვეგულება არც ერთი შენზე ნაწყენი თანამშრომელი.

2000 წლიდან შენ უკვე პენსიაზე ხარ, მაგრამ მაინც აგრძელებდი შენს უსაყვარლეს კოლეგებთან ერთად საქმიანობას. იყავი ვეტერან მეღვინეთა საზოგადოების მდივანი და ძალ-ღონეს არ იშურებდი საქმიანობისათვის.

უწყინარი, თავმდაბალი, ზრდილი პიროვნება, შეყვარებული თავის ახლობლებსა და მეგობრებზე, გამოაკლდი ყველას. შენ იყავი აღალმართალი ადამიანი, რაც გამოგარჩევდა ყველასგან. იყავი უღალატო მეგობარი და, დარწმუნებული ვართ, ასე იქნება იმქვეყნადაც.

მეგობრობა და სიყვარული უკვდავია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. ამინ!

ოჯახის წევრები და მეგობრები

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 2. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 3. საწვრთნელი ორთაბრძოლა კრივში; 4. საკონცენტრაციო ბანაკი პოლონეთში ფაშისტური ოკუპაციის დროს; 5. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 6. ფირმის, ორგანიზაციის ქონების ფინანსური მდგომარეობის შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 8. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 11. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 14. დამკაბადონებელი ოსტატი სტამბაში; 15. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 15. ქალის არაძვირფასი სამკაულები; 17. სათბურში გამოყვანილი მცენარის ნერგი; 19. რბილი ხაოს მქონე აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი; 21. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 22. მინერალური წყალი იმერეთში.

თარაზულად: 1. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 5. გადასახადი მიწით სარგებლობისათვის ძველად საქართველოში; 7. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 9. ქართველი მგოსანი; 10. საქონელზე, პროდუქციაზე ფასის დაკლება უხარისხობის გამო; 12. ქალაქ დონეცკის ძველი სახელწოდება; 13. დიდი წარმატება, გამარჯვება; 16. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 17. გამხმარი ხილი; 18. სოხუმის ძველი სახელწოდება; 20. ლითონზე ან ქვაზე შესრულებული ნახატი; 22. რამდენიმე ქვემეხის ან თოფის ერთდროული გასროლა; 23. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 24. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში; 25. არათვითმავალი სამდინარო გემი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფარვატერი; 2. ძელშავი; 3. გოთიკა; 4. ვოლგა; 5. ფლირტი; 11. კარტიე; 12. სოფიტი; 14. ჯემი; 16. კლინიკა; 17. ქაშვეთი; 19. კოროზია; 21. კრუზი; 22. ჩაქვი.

თარაზულად: 6. ვაპორეტო; 7. დროსელი; 8. გაგრა; 9. ლამარა; 10. კონკა; 13; ბრიკი; 15. აკროტოფორი; 18. სელტიკი; 20. არქი; 21. კვაისა; 23. ბარმაქსიზმი; 24. თოფუზი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ოჯალეში; 3. ანდამატი; 4. ავსტრალია; 5. ზევსი; 6. უშგული; 8. ბარელი; 11. დუბლინი; 14. ეფრემვერდი; 15. მონოტიპი; 16. ბარისტერი; 17. ხიზანი; 19. რენუარი; 21. რიტმი; 22. სეული.

თარაზულად: 1. მოწამეთა; 5. ზებუ; 7. რაბათი; 9. ვარდობისთვე; 10. გოდერძი; 12. ალუბალი; 13. კოლხეთი; 16. ბანკროტი; 17. ხადა; 18. კრიკი; 20. კომბაინი; 22. სეიკო; 23. თურინჯი; 24. ეტიუდი; 25. მონდი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2766

ევრო — 4.0233

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4811

100 რუსული რუბლი — 4.3912

ამინდის პროგნოზი 4 იანვრისათვის

მესისა და ტერ შტეგენს შორის, შესაძლოა, კონფლიქტი იყოს

ბარსელონის კაპიტან ლიონელ მესისა და მის მეკარე მარკ ანდრე ტერ შტეგენს შორის, შესაძლოა, კონფლიქტი იყოს. ამის შესახებ ერთ-ერთი გავლენიანი კატალონიური გამოცემა იუწყება. კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მესიმ ტერ შტეგენი სამ საუკეთესო მეკარეთა რიცხვში არ შეიყვანა და მის მაგივრად კეილორ ნავასი, ნოიერი და იან ობლაკი დაასახელა.

გარდა ამისა, გამოცემის ცნობით, ამ ორ ფეხბურთელს შორის მცირე უთანხმოება ადრეც არსებობდა.

უმტიტის მცირე ტრავმა აქვს

ბარსელონის ფრანგ ცენტრალურ მცველ სამუელ უმტიტის მცირე ტრავმა აქვს და, დიდი ალბათობით, ის ბარსელონის მომდევნო რამდენიმე შეხვედრას გამოტოვებს. აღსანიშნავია ისიც, რომ უმტიტის ისედაც ცოტა დრო ეძლეოდა და ამ ტრავმის გამო, შესაძლოა, მან საბოლოოდ დაკარგოს ძირითად შემადგენლობაში ადგილი.

უმტიტი აქტიურად ფიქრობს გუნდიდან წასვლაზე და, სავარაუდოდ, საფრანგეთში დაბრუნდება.

გიოტცე: „ბაიერნში გადასვლა ვიჩქარე“

მიუნხენის ბაიერნის ყოფილმა ნახევარმცველმა მარიო გიოტცემ ამ გუნდში გატარებული დრო გაიხსენა და თქვა, რომ არ ნანობს ბაიერნში გადასვლას, მაგრამ ფიქრობს, რომ შესაძლოა, ეს ნაბიჯი დროზე ადრე გადადგა და ბოლომდე არ იყო მზად ამ გუნდში სათამაშოდ:

– მინდოდა, გვარდიოლასთან ერთად მემუშავა და მისგან მართლაც ბევრი ვისწავლე, თუმცა ვფიქრობ, რომ ბაიერნში გადასვლა ოდნავ ნაჩქარევი ნაბიჯი იყო. მიუხედავად ამისა, არაფერს ვნანობ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მაიმუნმა მამაკაცს ჩანთა წაართვა და მისი ფულის ხიდან გადმოყრა დაიწყო

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის ქალაქ სიტაპურში ადგილობრივი მცხოვრებლები იმის თვითმხილველები გახდნენ, თუ როგორ წაართვა მაიმუნმა მამაკაცს ჩანთა, რომელშიც მსხვილი თანხა იდო და შემდეგ ფულის გადმოყრა დაიწყო.

სამშაბათ საღამოს მაიმუნმა ბხაგვან დინს ჩანთა წაართვა და ხეზე აძვრა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჩანთაში მის პატრონს 400 ათასამდე რუპია ედო.

ცხოველმა სასუსნავის მოსაპოვებლად ჩანთაში ქექვა დაიწყო. მაიმუნი ჩანთიდან დაკუჭულ კუპიურებს იღებდა და ხიდან ყრიდა. შედეგად ხის ძირში ადგილობრივი მცხოვრებლები შეიკრიბნენ. თავდაპირველად ყველანი მხოლოდ მაყურებლის როლით იყვნენ დაკავებული, შემდეგ კი ფულის შეგროვებას შეუდგნენ, რასაც ქუჩაში არეულობა მოჰყვა.

ჩანთის ხნიერი მფლობელი მაიმუნის დამშვიდებას ცდილობდა, თუმცა – უშედეგოდ. ცხოველმა ჩანთას თავი მხოლოდ მას შემდეგ დაანება, როდესაც ის მთელი ფულისგან დაეცარიელა. მამაკაცმა მომხდარის თაობაზე პოლიციას აცნობა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

4 იანვრისათვის

ვერძი – საქმეში ხელს უყურადღებობა და დაუდევრობა გიშლით. ერიდეთ ქარაფშუტა და ზარმაც ადამიანებთან ურთიერთობას. **კურო** – ნუ აჩქარდებით. გულმოდგინედ გააანალიზეთ თითოეული ნაბიჯი. ილუზიებს არ აჰყვეთ. **ტყუპები** – კომერციული საქმიანობისათვის, ცოდნის არეალის გასაფართოებლად მშვენიერი დღეა. არ იზარმაცოთ. **კირჩხიბი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. პირად ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე გაქვთ. **ლომი** – ნებისმიერი კოლექტიური საქმიანობა თქვენგან სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს. მოსალოდნელია კონფლიქტი უფროსობასთან. **ქალწული** – საქმიან პარტნიორთან ურთიერთობა გაფორიაქებთ. ერიდეთ გაუთვალისწინებელ ხარჯებს. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა ადრე დაწყებული საქმის დასამთავრებლად. ახლობლებთან ურთიერთობა ჰარმონიულია. **ღრიანკალი** – დღის პირველ ნახევარში ყურადღების ცენტრში ხართ. თავმოყვარეობას გაუფრთხილდით. **მშვილდოსანი** – მეგობრების გონივრული რჩევები გაითვალისწინეთ. ეცადეთ, საქმე აუჩქარებლად აკეთოთ. **თხის რქა** – სამსახურში ხელმძღვანელობის მხრიდან დაბრკოლებები შეგხვდებათ. ჯანმრთელობას მიხედეთ და, საჭიროების შემთხვევაში, ექიმთან ვიზიტი არ დააყოვნოთ. **მერწყული** – დაძაბული დღეა. ხმაურიან საზოგადოებაში გამოჩენას ერიდეთ. გეგმები გეცვლებათ. **თევზები** – მშვიდი დღეა. საქმეში ხელს არავინ გიშლით. საღამოს დაისვენეთ და გაერთეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ფილმებში მზრუნველი ცოლი ყოველთვის იღიმება, როდესაც სადილის დროს ქმარი ჭიქაში არაყს ისხამს დასაყოლებლად...

– მერე?

– მერე ის, რომ უკვე შვიდი ცოლი გამოვიცვალე და ეგ ყველაფერი ტყუილია...

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, იდეალურ ქალს ვგავარ?

– რას ამბობ! უფრო მეტიც!

– რამდენად?

– ასე, 50 კილოგრამით...

•••

მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:

– ბრალდებულო, ცოლთან 60 წელი იცხოვრეთ და ახლა მოკალით, ამას როგორ ახსნით?

– იცით რა, ბატონო მოსამართლევ, სულ სამომავლოდ გადავდებდი ხოლმე და აი აქამდე მოვედი...

•••

ერთი თანამშრომელი მეორეს ეუბნება:

– დირექტორმა გვიბრძანა, რომ ახალი წლის კორპორატიულზე ყველანი ნიღბებით ვიყოთ.

– სწორეა, მეც მომბეზრდა ამათი სიფათების ყურება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბიონსე დავით კომახიძის სამოსით გამოჩნდა

მსოფლიოში ცნობილი მომღერალი ბიონსე ქართველი დიზაინერის დავით კომახიძის იმავე დევიდ კომას სამოსით გამოჩნდა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც პოპვარსკვლავი ქართველი დიზაინერის შექმნილი სამოსით პოზიორობს. ბიონსე იყო პირველი ცნობილი არტისტი, რომელმაც ქართველი დიზაინერის კოლექცია მოიწონა და მისი ნამუშევრები არაერთხელ მოირგო.

დალი ჩიტალაძე საახალწლო „მასტერშეფის“ გამარჯვებულია

კულინარიულმა შოუმ „მასტერშეფმა“ საახალწლოდ სპეციალური გადაცემა ჩაწერა და კონკურსანტებისგან საუკეთესო ათეული შეადგინა.

„მასტერშეფის“ ჟიურიმ, კონსტანტინე თედელურმა, ლევან თედიაშვილმა და ლუკა ნაჭყებიამ, კონკურსანტებს სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოდან საახალწლო კერძების მომზადება დაავალეს.

ჟიურის გადაწყვეტილებით, გამარჯვებული მოდის ექსპერტი დალი ჩიტალაძე გახდა. მას, „მასტერშეფის“ პრიზის გარდა, კრწანისი ვილა რეზიდენსმა საჩუქრად 5000 ლარი გადასცა, გუდვილმა – 3000-ლარიანი ვაუჩერი, სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტებმა გამარჯვებულს გადასცა ყველის მაღაზიის 500-ლარიანი ვაუჩერი და ყველა კონკურსანტი გემრიელი პროდუქციით დაასაჩუქრა.

ჯორჯიან ექსპრესის რჩეული გაიანე გახდა და მან 1500-ლარიანი ვაუჩერი მიიღო. გაიანე სანდომის რჩეულიც აღმოჩნდა, ამიტომ საჩუქრად მათი პროდუქციის ვაუჩერი გადაეცა, დანარჩენმა კონკურსანტებმა კი საჩუქრად საახალწლო ტკბილეულის ნაკრები მიიღეს.

კონკურსანტებმა გადაცემის სპონსორი კომპანიებისგან სხვადასხვა საჩუქარი მიიღეს.

რატი ამაღლობელს ველოსიპედი მოჰპარეს

პოეტ რატი ამაღლობელსა და მის შვილს ველოსიპედები მოჰპარეს. ინფორმაცია ამის შესახებ პოეტმა თავად გაავრცელა:

– ველოსიპედები მოგვპარეს მე და ჩემს შვილს სადარბაზოში დაბმული. ეტყობა, გადაჭრეს. მანქანა მე არ მყავს, რაც მოძრაობს, იქიდან ველიკი და თხილამური მაქვს. სასწრაფოდ თხილამურები შევინახე კარგად.

ძალიან უცნაური განცდაა, რაღაცას რომ გპარავენ, ცოტა წყევლაც შეიძლება მოგინდეს – „ღმერთმა...“, მაგრამ თავს იკავებ, აღარც ღმერთს აწუხებ ველოსიპედების გამო და აღარც პოლიციას, რომელიც ახლა ვინმეს დაჯარიმებაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე...

ნანი ბრეგვაძეს ნიკოლოზ რაჭველმა ბედობა ორიგინალურად მიულოცა

მაესტრო ნიკოლოზ რაჭველმა მომღერალ ნანი ბრეგვაძეს ბედობის დღე ორიგინალურად მიულოცა. მან ყვავილების ულამაზესი თაიგული ამწით ააწოდა მომღერალს მაღალ სართულზე და კორონავირუსის გამო მასთან სტუმრობისგან თავი შეიკავა.

ხელოვანებს აქვთ ტრადიცია – ყოველი წლის 2 იანვარს, ბედობა დღეს, ნანი ბრეგვაძესთან იკრიბებიან, რათა მთელი წელი ყველაფერი საუკეთესო დაიბედონ. წელს ეს შეკრება პანდემიის გამო არ შედგა. ნიკოლოზ რაჭველმა კი მომღერლის გახარება ასე გადაწყვიტა:

– ყოველი წლის 2 იანვარს ჩვენს უძვირფასეს ნანისთან ვიკრიბებით და ქართული სიმღერის ლეგენდასთან ერთად ყოფნას ვიბედებთ, მუსიკის დღესასწაულს ვიწყობთ და ენით აუწერელი ენერგიით ვიმუხტებით, მთელი წელი რომ მიგვყვება ხოლმე! მართლა ისე გვიყვარს ყველას ეს ურყევი ტრადიცია, რომ 1 იანვარზე მეტად 2 იანვარს ველოდებით და საგანგებოდ ვემზადებით დაუვიწყარი საღამოს გასატარებლად. წელს კი გავუფრთხილდით მის ჯანმრთელობას და მე და თეონა ჯორბენაძემ ყველა ჩვენი საერთო მეგობრის სახელით ჩვენი დიდი სიყვარული ასეთი ფორმით გამოვხატეთ, მაინც დავებედეთ ერთმანეთს და თან ისე, რომ არ ელოდა, სიურპრიზად.

გია ნიკოლაძე ახალ წელს ახალი სიმღერით შეხვდა

მომღერალი და პოეტი გია ნიკოლაძე ახალ წელს ახალი სიმღერით შეხვდა და მისი პრემიერა ათასობით მსმენელს ინტერნეტით შესთავაზა:

– გილოცავთ სიმღერის პრემიერით! ყველაფერი თავისით ხდება, ჩვენ მხოლოდ მონაწილეები ვართ. საუკეთესო განწყობა და შემართება დაგვბედებოდეს მთელ საქართველოს, რაც ახალ წელს მის დედაქალაქ თბილისში, რუსთაველზე ხდებოდა! ყველაფერი ღვთის ნებაა, ჩვენ მისი მტვერი ვართ. ღმერთი ჩვენშიც არის! „მიწა იყავ, მიწა ხარ და მიწად იქცევი“. „გილოცავთ თეთრი ხარის წელიწადს, აი, ასეთი ჩვენი ერი მწადს. გისურვებთ, მუდამ ასე ხდებოდეს და ეს განწყობა დაგვბედებოდეს. ვიწყებთ ჯვარმცელთა მგმობელ მსვლელობას და ქრისტეს სიტყვის მადიდებლობას. გისურვებთ ნდობას, ტკბობას, მშვენებას და ყოვლის ტკბობის წყობის შენებას“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯვოსვოხდი ა



შვეულად: 1. თანამედროვე ქართველი თეატრალური მხატვარი, მოქანდაკე; 2. შექსპირის ტრაგედია; 3. საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა აშშ-ში; 4. ჰაერში ასაშვები ბავშვთა სათამაშო; 5. მხარე ავსტრიაში; 11. ძველ რომაელთა ტანსაცმელი; 12. ტვირთის შესანახი სათავსო გემზე; 14. გემის მზარეული; 16. მჭევრმეტყველი ადამიანი; 17. კოლუმბიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 19. კინოკომედია „არ დაიდარდოს“ რეჟისორი; 21. აეროპორტი სინგაპურში; 22. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში.

თარაზულად: შუა საუკუნეებში ერეტიკოსთა და მათი თხზულებების საჯარო დაწვა ინკვიზიციის განაჩენით; 7. გუთნის ნაწილი; 8. ავადმყოფური გამონაზარდი ხის ტანზე, კორძი; 9. თბილისის მერი; 10. საკონდიტრო ნაწარმი; 13. ქართველ სუმოისტ გორგაძის ტიტული; 15. ცხენზე მოჯირითე აკრობატი ცირკში; 18. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის კანონთა კრებული; 20. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 21. მწყრის, ხოხბის ბარტყი; 23. მანათობელი მწერი; 24. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა